# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 28 სექტემბერი, 2012 წელი.

№186 (7062)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## მიხეილ სააკაშვილის ტრაგედია

დღეს საზოგადოებაში შიში უფრო დიდია, ვიდრე დაბერებული პოლიტბიუროს პირობებში 1980-იანი წლების შუა ხანებში



3

## მუნჯები ალაპარაკდნენ



2

## სოციალურ ქსელებში ხელისუფლებაზე ვიდეოჩანაწერები გავრცელდა

## ძალადობაა ნაციონალების კრახი გამომწვევი

4

## „თუ ფილმებმაც არ უშველა, შეეცდება რომელიმე საზღვარზე დაძაბოს სიტუაცია“

6

## რატომ იზრდება პატიმართა რაოდენობა?

7



## როცა სხვისთვის ნასროლი ტალახი შენვე გთხვრის!

## „ორი ოქტომბრისთვის თვითმფრინავის ბილეთები სულ გაყიდულია“

9



# ახლა კი დროა, ქართველნო, რომა ბოროტსა სძლიოს საქართველომა!..

რა როგორ იყო



## სოციალურ ქსელებში ხელისუფლებაზე ვიდეოჩანაწერები გავრცელდა

**ვიდეოჩანაწერებში ასახულია მიხეილ სააკაშვილის , ზურაბ ჟვანიას, ბადრი პატარკაციშვილის,ეროსი კიწმარიშვილისა და ვანო ჩხარტიშვილის შეხვედრა; გიგი უგულავასა და პატარკაციშვილის შეხვედრა და კადრები, რომელიც ბადრი პატარკაციშვილის, ვანო ჩხარტიშვილისა და ვანო მერაბიშვილის საუბარს ასახავს.**

ერთ-ერთ ვიდეომასალაში ჩანს, როგორ საყვედურობს „რუსთავი 2"-ის მაშინდელი გენერალური დირექტორი ეროსი კიწმარიშვილი ბადრი პატარკაციშვილს იმის გამო, რომ ჟურნალისტები მისი არხიდან „იმედზე" გადადიან.

– ბაზარი და კონკურენციაა, სახაშიდან ხომ ვერ მოვიყვანდი ხალხს? თუ ვილაცები ჩვენთან მოდიან იმიტომ, რომ მეტი ხელფასია, მე რა ვქნა? – პასუხობს პატარკაციშვილი კიწმარიშვილს.

ამავე ჩანაწერში მიხეილ სააკაშვილი ამბობს, რომ უნდა შედგეს გეგმა, თუ როგორ მოხდება ტელეკომპანიების ინტეგრაცია ისე, რომ მათ ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ.

– მე და ჟვანიას ერთმანეთში პრობლემები გვქონდა, მაგრამ ახლა, როცა „გაიასნებულია" პირველი, მეორე, მესამე, ანუ თანამდებობები გადანაწილებულია, აბსოლუტურად დალაგდა ურთიერთობა. ეს რომ ჩაფლავდეს, მე ვარ დაღუპული და პირიქით, ახლა მეგობრები ვართ. მტრებს შორისაც შეიძლება ასეთი ურთიერთობა წამოვიდეს, თუ იქნება ინტერესი. ასე რომ, ჩვენ უნდა ჩამოვყალიბდეთ, – აცხადებს სააკაშვილი.

კიდევ ერთი ჩანაწერის მიხედვით, ბადრი პატარკაციშვილი შეხვედრას უკვე ვანო ჩხარტიშვილსა და ვანო მერაბიშვილთან მართავს. მასში პატარკაციშვილი ხელისუფლებას მერის ინსტიტუტის დაშლის გამო საყვედურობს.

– ბეჟუაშვილმა ხომ „შეგვიკიკინა" საერთოდ. სიგარეტის ბიზნესზე, მე წამოვიღე ორგანიზაცია თავისი ვალებით და მილიონნახევარზე გვქონდა საუბარი. მე ყველაფერი გავაფორმე, მაგრამ ამის მერე ბეჟუაშვილი წავიდა. გიგის ვუთხარი, თუ გადამაგდეთ, მითხარი და არაა პრობლემა-მეთქი. ამის მერე დაიწყეს 30 მილიონზე ლაპარაკი. მილიონნახევარი იყო შეთანხმების საგანი, – ამბობს პატარკაციშვილი.

კიდევ ერთი ვიდეოჩანაწერის მიხედვით, ქალაქის მერი გიგი უგულავა ბადრი პატარკაციშვილს ხვდება. უგულავა რუსეთის „ბევრი" წრეების მიერ საქართველოში „ბევრი" რამის გამოყენებაზე საუბრობს.

– თქვენი სიტყვებიდან გამომდინარე, რომ დავაზუსტო, გინდათ თქვათ, რომ მე თქვენ გებრძვით?, – ამბობს პატარკაციშვილი, რაზეც უგულავა პასუხობს, რომ აბსოლუტურად სწორად გაიგო მისი ნათქვამი.

გავრცელებული ჩანაწერები, სავარაუდოდ, 2005 წელსაა გადაღებული.

**ინტერპრესნიუსი**

ტყუილ-მართალი

## მუნჯები ალაპარაკდნენ

**ამ წერილის დაწერა გუშინ გმირთა მოედანზე, მემორიალთან, სოხუმის დაცემის მე-19 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს პრემიერ-მინისტრის გამოსვლამ შთამაგონა, სახელწოდება კი ოცდაათიანი წლების დიდი რეპრესიების დროს დახვრეტილი მწერლის გერცელ ბააზოვის პიესის სახელწოდებიდან ვისესხე.**

იმ დღეს ტრიბუნაზე იდგა დიდი მუნჯი ვანო მერაბიშვილი და ლაპარაკობდა. მართალია თავისას არაფერს ამბობდა, მიხეილ სააკაშვილის სიტყვებს იმეორებდა, მაგრამ ბაგეთა მოძრაობა და ხმა აშკარად მისი იყო.

საერთოდ, მას შემდეგ, რაც შინაგან საქმეთა მინისტრობიდან დააცურეს და პრემიერ-მინისტრად დააწინაურეს, ბატონი ვანო აშკარად ალაპარაკდა, პირდაპირ პრეზიდენტის ენა ამოიდგა, დადის რაიონებში და, ხელისუფლების დიად მიზანდასახულობებს აცნობს პოტენციურ ელექტორატს.

გმირთა მოედანზე ოპოზიციის მზაკვრულ განზრახვაზეც ილაპარაკა – კანონიერ ქურდებს უკვე ბარგი აქვთ შეკრული და როგორც კი მწვანე აენთებათ, მაშინვე გამოემგზავრებიანო. ნაციონალებთან დაახლოებული პირები დაბეჯითებით იმასაც კი ამბობენ, რა თანამდებობებია მათთვის გახაზირებული „ქართული ოცნების" მთავრობაში: პრემიერ-მინისტრად – ტარიელ ონიანი, ეკონომიკის მინისტრად – ლაშა შუშანაშვილი, განათლების მინისტრად შაქრო კალაშოვი და ასე შემდეგ.

ბუნებრივია, კაცს რომ ასეთი ინფორმაციით აქვს თავი გამოტენილი და შეეკითხები, ვინ გინდა ხელისუფლად სააკაშვილი თუ შაქრო მალადოიო, ბღავილს დაიწყებს, მიშა, მიშაო!

ვანოს გახმოვანებაზე მორგებულად შენიშნა ბიძინა ივანიშვილმა, ამ კაცს მარტო ლაპარაკი კი არა, სისულელეების ლაპარაკიც ასწავლესო. **რიტორიკული შეკითხვა პატივცემულ ივანეს: სად, ვი-**





**სი სიტყვების საფუძველზე, რა გათვლებით ასკვნით თქვენ და თქვენი ულოგიკო ხელისუფლება, ქურდების და მამაძაღლების სავარაუდო აღზევებას?** იმიტომ, რომ გოგა ხაინდრავა საფრანგეთში გადახვეწილ ქურდს რეზო ლორთქიფანიძეს ბავშვობიდან იცნობს? ეგ არის თქვენი არგუმენტი?

**ლამის ვინატრო მათი ჩამოსვლა, თუ ამას თქვენი წასვლა მოჰყვება!**

მეორე ბრალდება: „ქართული ოცნება" სიტყვას არ ძრავს პუტინზეო.

მაინც რა უნდა თქვან, პატივცემულო ივანე, პუტინზე? თქვენმა ხელისუფლებამ რომ თავი გადასჭამა ქვეყანას პუტინის გინებით, იმიტომაც დაიჭირა ხოხობი! მიშა სააკაშვილს, ალბათ, მთელი დარჩენილი ცხოვრება პამპერსით მოუწევს სიარული, ФСБ-ის აგენტებმა ერთი ადგილით რომ არ ჩამოკიდონ!

რას აგიჟებთ ამ გაუბედურებულ ხალხს, ვინ გვივარდება, თქვენ თუ არ მიუხტით და მერე კუდამოძუებულებმა არ მოცოცხეთ, თან თუ რამ ფასეული გვქონდა ქვეყანაში, მათ არ მიჰყიდეთ!

ჩვენი რუსეთთან დაბრუნება უნდა „ქართულ ოცნებასო", ხალხს აშინებთ.

არადა, ნორმალური ურთიერთობის აღდგენა მართლაც არ იქნება ურიგო, მით უფრო, თუ ამ შერიგებით ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთებას შევძლებთ!

მუნჯები ალაპარაკდნენ!

ოღონდ ცუდად, გადაბრუნებულად ალაპარაკდნენ.

**სანდრო ალექსიძე**



დაპირებების ტოპათეული

## დაუსაბუთებელი იდეების რაოდენობით „ქრისტიან-დემოკრატები" ლიდერობენ

**commersant.ge გვთავაზობს პოლიტიკური პარტიების ყველაზე დაუსაბუთებელი წინასაარჩევნო დაპირებების ტოპათეულს. რეიტინგი 5 ბიზნესმენისა და 5 დამოუკიდებელი ექსპერტის გამოკითხვის შედეგად შედგა, რომლებსაც commersant.ge-მ მიმართა თხოვნით, დაესახელებინათ პარტიების ის სოციალური და ეკონომიკური წინასაარჩევნო იდეები, რომელთა განხორციელების სქემა, გამოკითხულთა აზრით, ავტორმა ყველაზე სუსტად წარმოადგინა.**

ვინაიდან გამოკითხვაში მონაწილეთა უმრავლესობამ ითხოვა, რომ მათი ვინაობა კონფიდენციალურად დაგვეტოვებინა, მათ სახელებსა და გვარებს არ ვასახელებთ.

გამოკითხვის შედეგად, ყველაზე დაუსაბუთებელი წინასაარჩევნო დაპირებების ტოპათეული ასე შედგა:

**1) ენერგოობიექტების ნაციონალიზაცია – ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა;**

**2) „მდიდარს წავართმევთ, ღარიბს დავუბრუნებთ" – ლეიბორისტული პარტია;**

**3) 1000-ლარიანი ვაუჩერის დარიგება – ერთიანი ნაციონალური მოძრაობა;**

**4) სახელმწიფოს ხელშეწყობა სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციაში – ერთიანი ნაციონალური მოძრაობა;**

**5) 273 ათასი სამუშაო ადგილის შექმნა – ერთიანი ნაციონალური მოძრაობა;**

**6) კომუნალური გადასახადების შემცირება – ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა;**

**7) მდიდრებისთვის გადასახადების გაზრდა – ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა;**

**8) საპატრიარქოს დაფინანსების 4-ჯერ გაზრდა – ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა;**

**9) საყოველთაო დაზღვევა – კოალიცია „ქართული ოცნება";**

**10) მოსახლეობისთვის საბანკო დავალიანების ჩამოწერა – „ლეიბორისტული პარტია."**

როგორც ვხედავთ, გამოკითხვის თანახმად, ყველაზე მეტი – 4 დაუსაბუთებელი ინიციატივა „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას" ეკუთვნის, ამ მაჩვენებლით მეორე ადგილზეა „ნაციონალური მოძრაობა" (მე-3 ადგილი რეიტინგშიძ, რომელსაც „ლეიბორისტული პარტია" და „ქართული ოცნება" მოსდევენ შესაბამისად ორი და ერთი პოზიციით. თუმცა, ამასთან, „ლეიბორისტების" ერთ-ერთი ინიციატივა („მდიდარს წავართმევთ, ღარიბს დავუბრუნებთ"ძ დაუსაბუთებელ იდეებს შორის დასახელების სიხშირით მეორე ადგილზე მოხვდა.

მოწოდება

## სტუდენტთა საკოორდინაციო საბჭო ხელისუფლებას მიმართავს

**მიმართვაში ახალგაზრდები პატიმრებზე განხორციელებული ძალადობის ფაქტებს კიდევ ერთხელ გმობენ და მთავრობას სამართლიანობის აღდგენისკენ მოუწოდებენ.**

**ახალგაზრდები ხელისუფლებისგან პატიმართა უფლებების დაცვას, მათ წამებაში მონაწილე პირების უმკაცრესად დასჯას მოთხოვენ.**

ამასთან, სტუდენტები ხელისუფლებას სამართლიანი არჩევნების ჩატარებისკენაც მოუწოდებენ და აფრთხილებენ, რომ გაყალბებულ არჩევნებს არ აპატიებენ.

**– ჩვენ მოვითხოვთ სამართლიანობის აღდგენას და**



**მოვითხოვთ, კანონის ფარგლებში ჩატარდეს არჩევნები, რადგან, კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, ხალხში უნდობლობაა და, სწორედ ამიტომ, ჩვენ მოვითხოვთ, მთავრობამ აღიდგინოს სტატუსი, შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა და ჩაატაროს სამართლიანი არჩევნები! ჩვენ არ გაპატიებთ გაყალბებულ არჩევნებს! მოგიწოდებთ, რომ გულგრილობა დანაშაულია! თქვენ გაქვთ პასუხისმგებლობა, უზრუნველყოთ არჩევნების სამართლიანად ჩატარება. მთავრობის მიერ ყველა გაყალბების მცდელობის დაშვება, არ დაგმობა და შესაბამისი რეაგირების არ გაკეთება უტოლდება განხორციელებული პენიტენციარული დანაშაულის სისასტიკეს და ყოველივე ამის ჩამდენი არის ის ჯალათი, რომელიც გამოაშკარავდა ბოლო მოვლენების დროს. ჩვენ მშვიდობიანად გამოვხატავთ ჩვენს პროტესტს! არა ძალადობას! ჩვენ გვტკივა თქვენი დემოკრატია. ჩვენ გავიღვიძეთ და ერთ მუშტად შეკრულნი ვგმობთ უსამართლობას!**, – ნათქვამია მიმართვაში.

მიმართვას ხელს აწერენ საქართველოს სტუდენტები, ახალგაზრდები, სტუდენტური და ახალგაზრდული ორგანიზაციების, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

**ინტერპრესნიუსი**

## უცხოელის თვალით

**საქართველოში საპარლამენტო არჩევნების კამპანიის ბოლო კვირა დაიწყო, არჩევნებისა, რომელიც ქვეყნის მომავლისთვის გადამწყვეტი იქნება. რამდენად გადამწყვეტი? ერთმა ჩემმა აქაურმა მეგობარმა თქვა: „აპოკალიფსური კრიზისი, რომელსაც თითოეული ადამიანის გულის სიღრმიდან ყველაზე დაფარული ამოაქვს".**

ეს გაზვიადება არ არის. ბრძოლის ემოციურმა ტემპერატურამ გასული სამშაბათის ღამეს თერმომეტრი გატეხა, როდესაც ოპოზიციურმა ტელევიზიამ ბელგიაში გაქცეული ციხის თანამშრომლის მიერ მიწოდებული ვიდეომასალა გაავრცელა. კადრებში ჩანს მცველებისა და მათი უფროსების მიერ პატიმრების რიგრიგობით წამება, დაცინვა, მათზე სექსუალური ძალადობა და ცოცხის ტარით გაუპატიურება.

ბრაზიანი დემონსტრაციები თბილისის ექვს სხვადასხვა ნაწილში იმართება, მიუხედავად პატრიარქ ილია II-სა და მილიარდერი ოპოზიციონერი ლიდერის ბიძინა ივანიშვილის მხრიდან მათი ჩაცხრობის მცდელობისა.

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" შეუპოვრად იმედოვნებს, რომ ამ კადრებს არჩევნების დღემდე (1 ოქტომბრისთვის) ეკრანებიდან გააქრობს და ხალხი არჩევნებზე წავა წარსულის შიშით ივანიშვილის, რუსეთისა და ზოგადად გაურკვევლობის მიმართ.

რამდენიმე ინტელექტუალი კვლავ ცდილობს მთავრობის დაცვას და ამტკიცებს, რომ ციხის სისასტიკე ყველგან ხდება, ამის აღმოფხვრა რთულია და მიღებულია შესაბამისი ზომები იმისთვის, რომ ციხეს ბოლოდროინდელი ძალადობისთვის პასუხისმგებელი „ავადმყოფი" თანამშრომლები ჩამოაშორონ. კარგი არგუმენტებია, თუ მხოლოდ ამ ვიდეოებით ნაჩვენები ინციდენტებით შემოვიფარგლებით.

**მაგრამ იყო თუ არა უფრო მეტი რამ ამ კრიმინალის უკან?**

ვფიქრობ, ქართველებმა რეაქცია ასე მწვავედ იმიტომ გამოხატეს, რომ ვიდეოები ქვეყანაში არსებული რეალობის სიმბოლოა. ის, რაც ხალხმა ტელევიზიით ნახა, გამონაკლისი შემთხვევა კი არა, სასტიკი სისტემაა, რომლითაც ბიუროკრატიული ძალადობის სპეციფიკური პროგრამა იმართება: **პატიმრებს მწყობრში, ბიუროკრატიულ რიგში აყენებენ, ხელში მათი საქმეები უჭირავთ და სცემენ და ამცირებენ.**

**რა შეიძლება ყოფილიყო ამ სისტემის მიზანი?**

ამის წარმოდგენა რთული ნამდვილად არ არის: ის არაფრით განსხვავდება შეურაცხყოფისა და დაცინვის იმ რიტუალებისგან, რომელსაც დასავლეთშიც ვიცნობთ: მიზანი ადამიანების კონტროლი და იმის დემონსტრირებაა, რომ მათ არანაირი უფლებები და ძალა არ აქვთ, და ისინი მთლიანად მათ ხელში არიან. ციხის ქართველი თანამშრომლები ამით პატიმრებს აშინებენ, ამცირებენ და ღირსებას ულახავენ (გაუპატიურება, რა თქმა უნდა, ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე საშინელი ფორმაა. კულტურაში, სადაც ჯერ კიდევ ღრმაა შიში ჰომოსექსუალიზმის მიმართ, ასეთი სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი კიდევ უფრო შეურაცხყოფილებად და ცხოვრებიდან გარიყულებად გრძნობენ თავს).

ამგვარი ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ფონზე, იოლი წარმოსადგენია, თუ რა მდგომარეობაში არიან ქართველი ბიზნესმენები: მათ უეცრად საგადასახადო პოლიცია, ან ჩვეულებრივი პოლიცია სტუმრობს, ეუბნება რომ მათ დაარღვიეს კანონი (ნამდვილი ან გამოგონილი), რისი გამოსყიდვაც შეიძლება დიდძალი თანხის ანონიმებისთვის გადაცემით, ასევე ავტომობილების დათმობით, უსასყიდლო მუშაობით სამთავრობო პროექტებზე ან მათი კომპანიების აქციების დიდი ნაწილის გაჩუქებით.

ერთ მაგალითს მოვიყვან, რომლის ზოგიერთ დეტალს შევცვლი, რომ პოლიციამ წყარო ვერ ამოიცნოს: **ჩემს მეგობარს უეცრად საგადასახადო პოლიცია ესტუმრა, რომელმაც უთხრა, რომ მისმა კომპანიამ გარკვეული უკანონობა ჩაიდინა, რაც მისი თქმით, გამოგონილი იყო, და რომ პრობლემა შეიძლება 125 000 ლარის (77 000 დოლარი) გადაცემით მოგვარდეს.** ის უმტკიცებდა, რომ არ იყო დამნაშავე და ამ ოდენობის თანხა არ ჰქონდა. მათ უპასუხეს: **„შეგიძლია ისესხო შენი ნათესავებისგან,"** და დაუსახელეს კონკრეტული ნათესავები და ის, თუ რა ოდენობის თანხა უნდა ეთხოვა თითოეული მათგანისგან. ისინი განაგრძობდნენ: **„ოჯახის გარდა არავის უთხრა ამის შესახებ, და არც იფიქრო მედიაში ან უცხოელ დიპლომატებთან მისვლა. ჩვენ ვიცით შენი ყველა შემოსავლის წყარო, შენი მშობლების ვინაობა, ის, თუ სად ცხოვრობენ ისინი, ვიცით ვინ არის შენი ბებია და მისი სოფელი, რომელ სკოლაში დადიან შენი შვილები და სად თამაშობენ... იფიქრე მათზე."** არავის უხსენებია სასამართლოში წასვლა (თბილისის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეებზე ნებისმიერ გარემოებებში გამამართლებელი განაჩენების მაჩვენებელი 1%-ია). მან გადაიხადა. ეს ფინანსური ტერორის სისტემაა, რომელიც ამბობს: **„შენ არარაობა ხარ. არ გაქვს ძალა. გააკეთებ იმას, რასაც გეტყვიან ისინი, ვისაც ძალაუფლება აქვს."**

# მიხეილ სააკაშვილის ტრაგედია



ტერორი მხოლოდ ბიზნესით არ შემოიფარგლება. მე მაქვს უშუალოდ მასწავლებლებისგან მიღებული ცნობები. **ისინი ამბობენ, რომ დაკარგავენ სამსახურებს, თუ „ნაციონალურ მოძრაობას" არ მისცემენ ხმას ან თუ არ ჩასხდებიან ავტობუსებში 8 სექტემბერს და არ გაემგზავრებიან სპორტის სასახლეში სააკაშვილის ტრიუმფალურ დემონსტრაციაზე დასასწრებად. ნაციონალურმა მოძრაობამ დაამკვიდრა შიშით მართვა.**

საქართველოს საბჭოთა პერიოდიდან ვსტუმრობ, და **დღეს საზოგადოებაში შიში უფრო დიდია, ვიდრე დაბერებული პოლიტბიუროს პირობებში 1980-იანი წლების შუა ხანებში.** მე ამერიკის მოქალაქე ვარ, ახლოს ვარ აეროპორტთან, მაგრამ გულწრფელად მეშინია იმის, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ჩემს მიერ დაწერილ სიტყვებს. **ქართულ პოლიტიკას დიდი ხანია, ვაკვირდები და ჩემი შთაბეჭდილებით, მთავარი ელემენტი, რომელსაც მთავრობა არჩევნების მოსაგებად ეყრდნობა, შიშია.**

შეერთებული შტატების მთავრობა, ევროკავშირი, UNICEF-ი და სხვები, რომელთაგანაც ქართველ პატიმრებზე ძალადობის დაგმობას ველოდით, ასეც მოიქცნენ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ყველა მათგანმა მოწოდება გააკეთა, რომ საქართველოს მთავრობამ და სასამართლოებმა გამოძიება უნდა ჩაატარონ. ოთხშაბათს პრეზიდენტი სააკაშვილი სატელევიზიო ინსტრუქციების მისაცემად შეხვდა ახალ პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილს, იუსტიციის მინისტრ ზურაბ ადეიშვილს, მთავარ პროკურორს მურთაზ ზოდელავას და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს გიორგი ლორთქიფანიძეს – ყველა მათგანი ახლად დანიშნულ, მაგრამ უკვე გადამდგარ შინაგან საქმეთა მინისტრთან ბაჩო ახალაიასთან ერთად ეჭვმიტანილია იმაში, რომ ბიზნესმენების, პატიმრებისა და სხვების მიმართ წარმოებულ ტერორში მთავარი მოქმედი ფიგურები იყვნენ.

**ის, ვინც პასუხისმგებელი პირების გამოვლენას შეეცდება, ისინი ზემოთ, ქართულ მთავრობაში უნდა ეძებოს.** მათ შორის პატიმრების წამებისას უშუალოდ გადაღებული არიან პენიტენციარული სისტემის უფროსის მოადგილე, გლდანის ციხის უფროსი და მისი მოადგილე. ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციებისა და მთავრობის მიერ დანიშნული სახალხო დამცველის ანგარიშებში წლების მანძილზე აღინიშნებოდა ციხეში არსებული სისასტიკე. მერაბიშვილი, რომელიც ზაფხულამდე შინაგან საქმეთა მინისტრი იყო, უშუალოდ ხელმძღვანელობდა ციხეებს 2008 წლამდე. დიმიტრი შაშკინი, რომელიც თავდაცვის მინისტრად დაინიშნა (ყველა ეს ადამიანი ბოლო ზაფხულის განმავლობაში დააწინაურეს) 2008 წლამდე სასჯელაღსრულების მინისტრი იყო.

ამდენად, პრეზიდენტ სააკაშვილის მოწოდება ჩატარდეს გამოძიება, შეიძლება მივამსგავსოთ 1938 წელს ამხანაგ სტალინის მიერ ლავრენტი ბერიასადმი გაცემულ განკარგულებას, რომლის თანახმადაც, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს (დისკრედიტებული „სახელმწიფოს უსაფრთხოების კომიტეტის" წინამორბედი) უნდა დაედგინა სიმართლე სოციალისტური კანონების დარღვევების შესახებ.

უნდა ყოფილიყო თუ არა ვარდების რევოლუციონერი სააკაშვილი პირველი, ვისაც უნდა ემხილა ჩინოვნიკების სამსახურებრივი დანაშაული, წამება და გამოესწორებინა სიტუაცია? რა მოუვიდა ახალგაზრდა მამაც მიშას, რომელიც არჩევნების გაყალბებას ვარდებით დაუპირისპირდა, ფეოდალური კორუფცია აღმოფხვრა, მაფია დაამარცხა, არშემდგარი სახელმწიფო ფეხზე დააყენა და რუსულ ტანკებს მტკიცედ აღუდგა წინ?

დიახ, ეს ყველაფერი სააკაშვილმა და მისმა ამხანაგებმა გააკეთეს, რამაც თავბრუ დაახვია მათ და საკუთარ სისწორეში, შესაძლებლობებსა და ძალაუფლებაში დაარწმუნა.

მათ სწამდათ, რომ ბნელ სარდაფში, რომელიც 70 წლის განმავლობაში დალუქული იყო, პარაზიტებს ანადგურებდნენ და ამით ასუფთავებდნენ მას.

**დასაწყისშივე ვარდების რევოლუციას სადამსჯელო სულისკვეთება ჰქონდა, შესაბამისად, დასაწყისშივე სააკაშვილის პროექტი წინააღმდეგობრივი იყო; სინათლის სახით მას ლიბერალური დემოკრატია უნდა მოეტანა; მაგრამ ისეთ ბნელ და დასნეულებულ ადგილას, როგორიც საქართველო იყო, სააკაშვილის აზრით, ეს ხისტ ზომებს მოითხოვდა.**

არშემდგარ სახელმწიფოსთან გამკლავებისთვის, რომელიც მათი მტკიცებით, მემკვიდრეობით ერგოთ, რევოლუციონერები რესურსს ედუარდ შევარდნაძის კორუმპირებული ჩინოვნიკებისგან ფულის წართმევით აგროვებდნენ ისე, რომ მსგავს საქმეებზე სასამართლო პროცესებიც არ იმართებოდა. ამ და სხვა იმპროვიზაციების საშუალებით მათ სწრაფად ააშენეს ძლიერი სახელმწიფო. ახლა მათ გააჩნდათ ეფექტური ინსტრუმენტი ნებისმიერი იმ ამოცანის შესასრულებლად, რომელიც სჭირდებოდათ – ან უბრალოდ სურდათ. ასე დაიწყეს მათ, თავიანთი კეთილშობილური მიზნებისთვის, ფულის გამოძალვა ნორმალური ბიზნესმენებისგან, როგორც კი ფული შემოაკლდებოდათ.

**შემდეგ მათ დაიწყეს იმის გაცნობიერება, რომ ძლიერ სახელმწიფოს შეიძლება არამხოლოდ ფული, არამედ დაშინებით და გაყალბების გზით ხმებიც მოეტანა.** ეს მათ 2007 წელს გამოადგათ, როდესაც სააკაშვილი, ისევე როგორც ბევრი გმირი, რომელიც ხელისუფლებაში მანამდე მოსულა, არაპოპულარული გახდა. მას შეეძლო მაშინ თანამდებობის დატოვება, ისევე როგორც მიმდინარე სკანდალის დროს და ეს რომ გაეკეთებინა, შეიძლება ერთ დღეს ტრიუმფით დაბრუნებულიყო. მაგრამ რა მოუვიდოდა მას ამავე დროს? **ამდენი არალეგალური ქმედების ჩადენისა და ამდენი ადამიანისთვის ღირსების შელახვის ფონზე, ის და მისი მეგობრები ყველაფერს დაკარგავდნენ. სააკაშვილი დღეს ხაფანგში გაბმული, ტრაგიკული ფიგურაა.**

არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ სააკაშვილს გამორჩეული ადგილი უჭირავს საქართველოს ისტორიაში, როგორც ნამდვილი ქართული სახელმწიფოს შემქმნელს მეტად არახელსაყრელ პირობებში. არც მისი რუსული იმპერიალიზმისადმი მტკიცე წინააღმდეგობა უნდა უგულებელვყოთ. არც ის უნდა ვიფიქროთ, რომ ივანიშვილი თეთრ ცხენზე ამხედრებული მხსნელია. მისი კამპანია ძალიან ტოლერანტული და კვალიფიციურიც კი არ იყო. მაგრამ ივანიშვილს ეყო გამბედაობა, რომ სისტემაში, სადაც საზოგადოებისთვის „შავი ფულის" გამოძალვით, ყველაფერი ერთ ჯგუფს აქვს მონოპოლიზებული, თავისი უზარმაზარი ქონების ნაწილი ნამდვილი ოპოზიციური მოძრაობის შესაქმნელად გაეღო; და ეს მან პირადი, ძალიან დიდი რისკის, ფასად გააკეთა.

ზოგიერთმა ამერიკელმა პოლიტიკურმა ლიდერმა, მათ შორის, ჯონ მაკკეინმა, საქართველოს საარჩევნო ბრძოლას სააკაშვილის გასაჭირის ჟამს, მისთვის დახმარების სულგრძელი ინსტინქტით უპასუხა. მაგრამ ინსტინქტი ყოველთვის როდია საუკეთესო გზამკვლევი რთულ საერთაშორისო გარემოებებში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სააკაშვილის მმართველობის საოცრად ბნელ მხარეს უნდა შევეგუოთ. დავაკვირდეთ მომავალი ორშაბათის გადამწყვეტ არჩევნებს და საღად განვსაჯოთ, რომ გასულ კვირაში გამომზეურებული მეთოდური წამება და გაუპატიურება არ არის ცალკეული არაცივილიზებული შემთხვევები საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში; ეს გაცილებით ღრმა კრიზისის სიმპტომებია, რომლითაც დღეს საქართველოს მთელი პოლიტიკური სისტემაა გაჟღენთილი.

**ჩარლზ ფეარბენქსი,**
**„theatlantic.com"**

**ჩარლზ ფეარბენქსი უმცროსი – ჰადსონის უნივერსიტეტის უფროსი მკვლევარი. მანამდე ჯონ ჰოფკინსის პოლ ნიცეს საერთაშორისო კვლევების სკოლის საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი და ცენტრალური აზიისა და კავკასიის ინსტიტუტის დირექტორი იყო. ფეარბენქსი შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში მდივნის თანაშემწის მოადგილე იყო და პოლიტიკური დაგეგმვის დეპარტამენტში მუშაობდა. ფეარბენქსი მუშაობდა ასევე იელის უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტზე და ტორონტოს უნივერსიტეტში.**

◎ ვინ-ვის?

# ძალადობამ ნაციონალების კრახი გამოიწვია



**ქვეყანაში წინასაარჩევნოდ არსებული ვითარების თავისებურებებზე, არჩევნებამდე და არჩევნების შემდგომ მოვლენათა განვითარების სავარაუდო სცენარებსა და იმაზე, თუ რა უნდა გააკეთოს პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოებამ და პოლიტიკურმა სუბიექტებმა არჩევნების მშვიდობიანად და სამართლიანად ჩატარებისთვის, „ინტერპრესნიუსი“ თბილისის პოლიტიკური სკოლის დირექტორს, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორს არმაზ ახვლედიანს ესაუბრა.**

**— ბატონო არმაზ, საქართველოს პროკურატურა რეჟისორ გოგა ხაინდრავას საზღვარგარეთ მცხოვრებ „ქურდულ სამყაროსთან“ ერთად საქართველოში გადატრიალების მზადებაში ადანაშაულებს. მიუხედავად იმისა, რომ გოგა ხაინდრავა „ქართული ოცნების“ წევრი არაა, ხელისუფლება ცდილობს, იგი თავის მთავარ პოლიტიკურ ოპონენტს, „ქართულ ოცნებას“ დაუკავშიროს. გარდა ამისა, ხელისუფლება ბოლო 2-3 დღეა ტელევიზიებით ავრცელებს ოპოზიციის ლიდერთა მაკომპრომეტირებელ ჩანაწერებს. თქვენი აზრით, რამდენად სარწმუნოა პროკურატურის მიერ ხაინდრავასა და ოპოზიციის ლიდერთა წინააღმდეგ უკვე გავრცელებული მასალები და რა გავლენას იქონიებენ ისინი წინასაარჩევნოდ საზოგადოებაზე, რომელმაც 1 ოქტომბერს არჩევნებში უნდა მიიღოს მონაწილეობა?**

— ნორმალურ ვითარებაში მსგავს ბრალდებას საგამოძიებო უწყება შეისწავლის, საზოგადოება კი სასამართლოს განაჩენს დაელოდება. ახლაც ასე უნდა მოხდეს, მაგრამ ხალხმა იმდენად დაკარგა ნდობა ამ ინსტიტუტების მიმართ, რომ ბრალდებას და შემდგომ რეაგირებას სერიოზულად აღარავინ აღიქვამს.

**— საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღე დარჩა. თითქმის ერთი წელი სრულდება, რაც პოლიტიკურ ასპარეზზე ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა და გადაჭარბებული ნათქვამი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ქვეყანა პრაქტიკულად ერთი წელია, საარჩევნო რეჟიმში ცხოვრობს. ეს რომ ასეა, ამაზე, უპირველესად, ყველა ფრონტზე ხელისუფლების სუპერაქტიურობა მეტყველებს. ასეა თუ ისე, საარჩევნო კამპანიაც დასასრულს უახლოვდება და საზოგადოებას არჩევანის გაკეთება მოუწევს. გლდანის მე-8 საპყრობილეში გავრცელებულმა კადრებმა საზოგადოებაში პოლიტიკურ შეხედულებათა პოლარიზაცია კიდევ უფრო გააღრმავა. თქვენ როგორ შეაფასებდით წინასაარჩევნოდ ქვეყანაში არსებულ ვითარებას?**

— წინასაარჩევნო გარემო ვერ იქნება ნორმალური, დასნეულებული საერთო-დემოკრატიული ველის პირობებში. როცა სამართლის უზენაესობა შელახულია, დამოუკიდებელი სასამართლო არ არსებობს, ბიზნესი პოლიტიკურ წნეხშია, მედიის თავისუფლება სადავოა, ერთპარტიული მმართველობა კი შეუზღუდავია, ცხადია, ძალიან რთულია რეალურ დემოკრატიულ არჩევნებზე საუბარი.

წინასაარჩევნო ვითარება შეუდარებლად დრამატული იქნებოდა, რომ არა ახალი პოლიტიკური ძალის გამოჩენა. თუმცა, ფაქტია, რომ ამის მიუხედავად, არსებული საარჩევნო გარემო შორსაა დემოკრატიული სტანდარტებისგან. პატიმართა წამებისა და შეურაცხყოფის ბოლოდროინდელმა ფაქტებმა ცხადყო არა მარტო პენიტენციარული სისტემის, არამედ მთელი სახელმწიფო-პოლიტიკური მანქანის გაუმართაობა და მძიმე დაღი დაასვა ისედაც გართულებულ საარჩევნო პროცესს.

**— ექსპერტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ქვეყანაში პირველადაა შექმნილი სიტუაცია, როცა დიდი ალბათობა არსებობს ხელისუფლების არჩევნების გზით შესაცვლელად. საარჩევნო კანონმდებლობის ექსპერტები და ადამიანის უფლებათა დამცველები ხელისუფლებას არათანაბარი საარჩევნო გარემოს ჩამოყალიბებაში, საარჩევნო კანონმდებლობის მმართველი გუნდის მიერ სათავისოდ მორგებაში, ამომრჩეველთა სიის არასრულყოფილებაში, ოპოზიციური პარტიების აქტივისტების ზეწოლასა და შევიწროებაში ადანაშაულებენ. საკმაოდ კრიტიკული შეფასებები გამოთქვეს საქართველოში არსებულ საარჩევნო გარემოზე საერთაშორისო დამკვირებლებმაც. რამდენად დიდია იმის ალბათობა, რომ 2008 წლისგან განსხვავებით არჩევნების შეფასებისას აშშ და დასავლეთი ორმაგი სტანდარტებით არ იხელმძღვანელებენ?**

— 2008 წლისგან დღევანდელი ვითარება იმით განსხვავდება, რომ არსებობს ძლიერი, მაგრამ მხოლოდ მშვიდობიან და კონსტიტუციურ ჩარჩოში მოქმედი ალტერნატივა. შეიცვალა სამოქალაქო თვითშეგნება, რამაც გაზარდა დასავლეთის კრიტიკული დამოკიდებულება არჩევნების მიმართ. ეს, რა თქმა უნდა, გვაიმედებს. მაგრამ უხეში დარღვევები წინასაარჩევნო პერიოდში, არ გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ არჩევნები დემოკრატიულად ჩაითვლება. მხოლოდ არჩევნების დღით რომ არ ფასდება არჩევნები, ჩვენმა საზოგადოებამ კარგად გაიგო.

საუბედუროდ, დასავლეთშიც და სხვაგანაც მოიძებნებიან დამკვირვებლები, რომლებიც სიმართლეს იოლად ანაცვალებენ ცხოვრებისეულ სიამეს. მინდა, დავიჯერო, ქართველი ხალხის ხმა იმდენად მტკიცე იქნება, რომ მის იგნორირებას ვეღარავინ გაბედავს. ეუთოს, ამ მთავარი სადამკვირვებლო ინსტიტუტის, დამოკიდებულება კი ჯერჯერობით ნდობას და პატივისცემას იმსახურებს.

იხ. 6 გვ.

◎ ინფორმაცია

## ინტერპოლმა ვლადიმერ ბედუკაძეზე ძებნა გამოაცხადა

გლდანის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმართა წამების ამსახველი ვიდეომასალის ავტორ, საპყრობილის ყოფილ მორიგე ოფიცერ ვლადიმერ ბედუკაძეზე ინტერპოლმა საერთაშორისო ძებნა გამოაცხადა.

ინტერპოლის ვებგვერდზე ბედუკაძის ფოტო და მისი პირადი მონაცემები დაიდო. დანაშაულის კატეგორიად, რომლის საფუძველზეც ბედუკაძე წითელი ცირკულარით იძებნება, ინტერპოლს „სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფა“ აქვს მითითებული.

გლდანის ციხეში პატიმართა წამებისა და შეურაცხყოფის ამსახველი ვიდეომასალები 18 სექტემბერს გამოქვეყნდა, თუმცა იმ დროისთვის ვლადიმერ ბედუკაძე საქართველოში აღარ იმყოფებოდა. ბოლო ინფორმაციით, ბედუკაძე ბრიუსელშია, სადაც რამდენჯერმე პრესკონფერენციაც გამართა.

ინტერპრესი




◎ ბანკი

## ვინ ექაჩება ქვეყნის მოსახლეობას წარსულისკენ?

მას შემდეგ, რაც ნაციონალებმა „მხედრიონის“ მსგავსი შეიარაღებული, გასამხედროებული ჯგუფები შექმნეს, დეპუტატებს პავლე კუბლაშვილს, კახა ანჯაფარიძესა და ზვიად კუკავას წარსულის ნოსტალგია შემოაწვათ და შეიმუშავეს კანონპროექტი „ეროვნული ბანკის კანონში ცვლილებების შესახებ“, რომლის მიხედვითაც იქმნება საფინანსო სექტორის ახალი წარმონაქმნი — კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი. ის იქნება იურიდიული პირი, რომელიც სახსრებს 400-ზე მეტი პირისაგან მოიზიდავს, ან მის მიერ მოზიდული თანხების რაოდენობა 5 მლნ ლარზე მეტი იქნება. მას გააკონტროლებს ეროვნული ბანკი. ამ უკანასკნელს ექნება რეგისტრაციების გაცემისა და გაუქმების უფლება.

„ტროიკის“ ნოვაციას უარყოფითი რეაქცია მოჰყვა ექსპერტთა შორის. დავით ლაშხია ამბობს, რომ პარალელური საბანკო სისტემა უარყოფითად იმოქმედებს როგორც საფინანსო სექტორზე, ასევე მეანაბრეებზე. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც საბანკო ანგარიშების დაცვის სახელმწიფო გარანტიები არ არსებობს. ლაშხია არ გამორიცხავს, რომ განმეორდეს „პირამიდების“ 80-იანი წლების ანალოგი: საკრედიტო ინსტიტუტები ქართული საფინანსო სივრციდან უბრალოდ გაქრნენ და დატოვონ ათასობით მოტყუებული და გალატაკებული ადამიანი.

საბანკო ექსპერტ ლია ელიავას მიაჩნია, რომ 2008 წლის საბანკო კრიზისის შემდეგ ბაზელის კომიტეტმა შეიმუშავა საბანკო კაპიტალისადმი დამატებითი მკაცრი მოთხოვნები, ეროვნული ბანკი პარალელური საბანკო სისტემის შექმნით მუხრუჭი ხდება ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა.

ამის შემდეგ ჩნდება კითხვა — ვინ უფრო ამუხრუჭებს ქვეყნის წინსვლას და უფრო უარესიც — ვინ ექაჩება მოსახლეობას ავადმოსაგონარი 90-იანი წლებისაკენ, თავისი „მხედრიონითა“ და „გადაგდებული“ მეანაბრეებით?

ზაზა ბილიხოძე

◎ ინფორმაცია

## პატიმართა წამებასა და გაუპატიურებაში კიდევ ოთხი პირია ბრალდებული

ქუთაისის სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე პატიმართა წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაში, მათ შორის გაუპატიურებაში ბრალდებული 4 პირი დაკავებულია, — ამის შესახებ გუშინ მთავარ პროკურატურაში გამართულ ბრიფინგზე პროკურორმა შოთა ტყეშელაშვილმა განაცხადა.

მისივე ინფორმაციით, დაკავებული არიან ქუთაისის საპყრობილის დირექტორი ზურაბ რუხაია, საპყრობილის რეჟიმის უფროსი დავით ნარსია, ამავე საპყრობილის მორიგე ინსპექტორები ნიკოლოზ ვახტანგიშვილი და გიორგი გრძელიძე.




პროკურორის განცხადებით, აღნიშნული პირები დანაშაულს სჩადიოდნენ ქუთაისის 316 საპყრობილის ტერიტორიაზე.

შოთა ტყეშელაშვილის განცხადებით, გამოძიების ამ ეტაპზე სულ დაკავებულია 16 პირი, მათ შორის სასჯელაღსრულების თავმჯდომარის მოადგილე, ციხის ორი დირექტორი და სხვა მაღალი თანამდებობის პირები. დაუსწრებლად წარედგინა პრალდება და იძებნება ერთი პირი.

მისივე თქმით, გამოძიება გრძელდება და მისი მიმდინარეობის შესახებ დამატებით ეცნობება საზოგადოებას.

## ადმინისტრაციული დაკავების წესის ბოროტად გამოყენებით საქართველო არღვევს საერთაშორისო ვალდებულებას

პოლიტიკური აქტივისტებისა და მომიტინგეთა მიმართ ადმინისტრაციული დაკავების წესის ბოროტად გამოყენებით საქართველო არღვევს საერთაშორისო ვალდებულებას , აღკვეთოს თვითნებური დაკავების შემთხვევები, - ამის შესახებ ნათქვამია Human Rights Watch-ის ანგარიშში.

— მთავრობამ უნდა მიიღოს ზომები თითოეული დაკავებულის საპროცესო უფლებების დასაცავად და უზრუნველყოს, რომ თითოეული საქმე, მიუხედავად მისი კრიმინალური თუ ადმინისტრაციული ხასიათისა, გარჩეულ იყოს კანონიერი სასამართლო პროცესის პირობებში. თითოეულ დაკავებულს აქვს უფლება მოითხოვოს საკუთარი საქმის გარჩევა და საკუთარი უფლებების პატივისცემა დაკავების პერიოდში, — განაცხადა Human Rights Watch-ის უფროსმა ექსპერტმა ევროპისა და ცენტრალური აზიის საკითხებში გიორგი გოგიამ.

ანგარიშის მიხედვით, წვრილმანი დანაშაული არ კვალიფიცირდება ნასამართლეობად, მაგრამ მასზე დაწესებული სასჯელი ითვალისწინებს სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

— პოლიციას აქვს პასუხისმგებლობა, უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგი და დააპატიმროს ნებისმიერი პირი, ვინც ამ წესრიგის დარღვევას შეეცდება, მაგრამ უნდა არსებობდეს თვითნებური დაკავების თავიდან აცილების მექანიზმები. არსებული სამართლებრივი ჩარჩო და სასამართლო არ უზრუნველყოფს დაკავებულთა სათანადო დაცვას. შესაბამისად, აუცილებელია მთავრობამ დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად, — აღნიშნულია ანგარიშში.

## „თავისუფალი საქართველოს“ ქობულეთის მაჟორიტარობის კანდიდატმა „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ კანდიდატურა მოხსნა

პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ქობულეთის მაჟორიტარობის კანდიდატმა ნიაზ ბოლქვაძემ კოალიცია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ფატი ხალვაშის სასარგებლოდ კანდიდატურა მოხსნა.

როგორც ნიაზ ბოლქვაძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე აღნიშნა, არჩევნებში ოპოზიციურ პარტიებს შორის ხმების გაყოფას არ დაუშვებს, რის გამოც მოხსნა კანდიდატურა.

— მიუხედავად იმისა, რომ მე კონკურენტუნარიანი კანდიდატი ვარ, იმ დიდი მხარდაჭერის ფონზე, რომელსაც ქობულეთის მოსახლეობაში ვგრძნობ, რასაც ჩემს მხარდასაჭერად ქალაქ ქობულეთის მოწინავე ინტელიგენციის ხელმოწერებიც მოწმობს, ასეთ დროს მე ვასრულებ ჩემს სიტყვას, არ დავუშვა ხმების გაყოფა და ვხსნი ჩემს კანდიდატურას „ქართული ოცნების“ ქობულეთის მაჟორიტარი დეპუტატის კანდიდატის სასარგებლოდ. ამავე დროს შედეგებზე მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება ქალბატონ ფატი ხალვაშს. ჩემთვის ეროვნული ინტერესები ყოველთვის ყველაფერზე მაღლა იდგა, ამიტომ იმედი მაქვს, ჩემი მხარდამჭერები ჩემს მიერ გადადგმულ ნაბიჯს სწორად შეაფასებენ, — აღნიშნა ნიაზ ბოლქვაძემ.

ინტერპრესი



**ერთი კვირა გავიდა პატიმართა წამების ამსახველი კადრების გამოქვეყნებიდან, თუმცა საზოგადოების აღშფოთება არ ნელდება. ხელისუფლება პირველი შოკიდან გამოვიდა და ცდილობს, სიტუაცია სათავისოდ შემოაბრუნოს, იყენებს ყველა მეთოდსა და საშუალებას, რასაც კი მისი ფანტაზია სწვდება. ბრალს სდებს ოპოზიციას, რომელმაც თითქოს წამების ამსახველი კადრები შეუკვეთა, აპატიმრებს სტუდენტებსა და ოპოზიციის აქტივისტებს, მათ წევრებს, ლაპარაკობს რაღაც შეთქმულებაზე და კვლავ იმუქრება, რომ ამ ქვეყანას არავის არ დაუთმობს. ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შეფასება for.ge-მ ფილოსოფოს ზაზა ფირალიშვილს სთხოვა.**

# „ციხე ხელისუფლების არაცნობიერი სურვილებისა და ვნებების ასპარეზია“

**— მაშინ, როდესაც მთელი საზოგადოება დათრგუნულია, ერთი მხრივ, პატიმართა წამების ამსახველი კადრების ნახვით, მეორე მხრივ, მომხდარზე ხელისუფლების რეაგირების გამო, მიხეილ სააკაშვილი ცდილობს, სიტუაცია შემოაბრუნოს და ამ კადრების გამოქვეყნების გამო ოპოზიციას ადანაშაულებს - „ის, ვინც დღეს ადამიანის უფლებებზე მოთქვამს, ის ხალხია, ვინც შეკრული იყო კრიმინალთან, ხალხს აუთოებდა და კლავდა“. როგორ შეიძლება, შეფასდეს პრეზიდენტის მოქმედება, რასთან გვაქვს საქმე?**

— უნდა დავაზუსტო: სააკაშვილი ქვეყანას უკვე 2007 წლის ნოემბრის შემდეგ მართავს სიტუაციის გამოსწორების რეჟიმში. ამ დღეს მან დაადასტურა, რომ ის და მისი გუნდი უცხო სხეულები არიან ამ ქვეყნისათვის. 2008 წლის აგვისტოს ბონაპარტისტული დემარში სხვა არაფერი იყო, თუ არა ხალხის სიყვარულის დაბრუნების მცდელობა. ცხადია, ეს შეუძლებელი იყო მაშინ და შეუძლებელია ახლაც. 2003 წლის სატელევიზიო-კარნავალური რევოლუციის შემდეგ განხიბვლა უნდა დამდგარიყო და დადგა კიდეც.

სიტყვამ მოიტანა და ასეთი ბედი ელის ნებისმიერ ხელისუფალს, ვინც ზედმეტად მაღალი პროცენტით მოდის ხელისუფლებაში. ერთი წუთით გავიაზროთ, რას ნიშნავს ეს რიცხვი. იგი ნიშნავს, რომ ხელისუფლებას ადამიანები უზომო იმედებს უკავშირებენ, რომ სიტუაციის გააზრება გასულია რაციონალური აზრის ფარგლებიდან და პოლიტიკურ მითოსის, პოლიტიკური უტოპიის სფეროშია გადასული. ამგვარი მდგომარეობა კი იმას ნიშნავს, რომ ბოროტება არ დასრულდება და ერთ ნიღაბს მეორე ჩაანაცვლებს. ასეთი უპირატესობა ძალზე დიდი ტვირთი და დიდი პასუხისმგებლობაა ნებისმიერი პოლიტიკური ძალისათვის. ჩვენს უახლეს ისტორიაში მას ვერავინ გაუძლო. ხატოვნად რომ ვთქვათ, სააკაშვილიც ამ ტვირთის, 2004 წელს მიღებული 98%-ის მსხვერპლად იქცა.

**ჰიპნოტური ხიბლის მდგომარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდება და აუცილებლად დადგება გამოფხიზლებისა და განჯადოების მომენტი. დღეს საბოლოოდ დადასტურდა ის, რაც, ალბათ, თავიდანვე აშკარა იყო. ადამიანები განიხიბლენ. ახალგაზრდა რეფორმატორის ნაცვლად მათ წინაშე ჭირვეული, ჰედონისტური მიდრეკილებების მქონე, ჩვენი კულტურის, ადამიანის სიცოცხლის არაფრად ჩამგდები და საკუთარი საზოგადოების წინააღმდეგ შეთქმული პოლიტიკური გუნდი წარსდგა. თითქოს გულმა მიგრძნოო და სექტემბრის დასაწყისში კიდევ ერთხელ გადავხედე დოსტოევსკის „ავსულებს“. 2007 წლის შემდეგ სააკაშვილი გამუდმებით ცდილობს კვლავ პოლიტიკური თრობის მდგომარეობაში დაგვაბრუნოს, ცდილობს, მასთან ნებისმიერი დაპირისპირება ბოროტისა და კეთილის საბოლოო შეტაკებად დაგვიხატოს, მაგრამ 2007 წლის ნოემბრის შემდეგ ეს შეუძლებელია.**

ციხის კადრებმა საბოლოოდ დაგვანახა მისი არაცნობიერი. ადრეც მითქვამს: ციხე ხელისუფლების არაცნობიერი სურვილებისა და ვნებების ასპარეზია. სწორედ ციხეში აკეთებს ხელისუფლება იმას, რაც გარეთ ვერ ან ჯერ ვერ გაუკეთებია. სწორედ ეს იგრძნეს უბრალო ადამიანებმა. საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ ის, რაც გასულ წლებში ხდებოდა, არ ყოფილა გამონაკლისი. შემთხვევით არ დაურბევიათ მიტინგი 2007 წელს, შემთხვევით არ დაუხოცავთ ბიჭები ქუჩაში, შემთხვევით არ ექცეოდნენ დევნილებსა და პრობაციონერებს სრულიად არაადამიანურად, შემთხვევით არ დაუტოვებიათ ელემენტარული შემოსავლის გარეშე ასიათასობით ადამიანი, შემთხვევით არ უქცევიათ არჩევნები სიცრუისა და ძალადობის ასპარეზად. ყველაფერ ამას სისტემური ხასიათი ჰქონია. ჰოდა, ამ რამდენიმე დღის წინათ ჩვენ ყველამ ვიხილეთ ყველაფერი ამის ფარული კონტექსტი — ციხის კადრები.

**— ხელისუფლებამ უკვე დაიწყო „ქართული ოცნებისა“ და მისი ლიდერის მაკომპრომენტირებელი მასალების გამოქვეყნება, მეორე მხრივ, აპატიმრებს „ქართული ოცნების“ წევრებს, მომიტინგე სტუდენტებს, ცდილობს ისევ დააშინოს საზოგადოება, როგორ ფიქრობთ, დაძლევს სააკაშვილის მეთოდები საზოგადოების აღშფოთებას?**

— ძნელი წარმოსადგენია. ხელისუფლებას დღეს უკვე თავადაც არ გააჩნია სიმართლის გრძნობა და მით უფრო ძნელია, ჩვენ დავუჯეროთ მას. პირველი სერიოზული ნიშანი სიმართლის გრძნობის დაკარგვისა არის ის, რომ მის ფასადზე გამოყვანილი პირები მექანიკური თოჯინებივით იმეორებენ ერთსა და იმავე ფრაზებს, მიუხედავად იმისა, რას ეკითხებიან. იმპროვიზაციის უნარი აქვთ დაკარგული, თუმცა, კი ჯერ კიდევ იმედი აქვთ, რომ შეძლებენ ხალხის გონებაში მათთვის საჭირო წარმოდგენები ჩაჭედონ.

ციხის ვიდეოჩანაწერებმა ძალზე ძლიერი შფოთი შემოიტანა ქართულ საზოგადოებაში. მისი გადაფარვა მხოლოდ კიდევ უფრო დიდი შფოთით შეიძლება. არსებულ რეალურ სიტუაციაში ასეთი შფოთი, ალბათ, ორი შეიძლება იყოს: რუსული აგრესია ან საპროტესტო მოძრაობის ძალადობაში გადაზრდა. დარწმუნებული ვარ, ორივეს შექმნაზე იზრუნებენ. პაველ ფელგენგაუერის წინასწარმეტყველება, რომ არჩევნების შემდეგ ორ-სამ კვირაში საქართველოში რუსული ჯარი შემოიჭრება, ჩემთვის იმის ნიშანია, რომ ვიღაცას მართლაც, მოუვიდა აზრად რუსული ფაქტორის შემოტანის შესაძლებლობა. გამოქვეყნებული მასალები, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მხოლოდ პრელუდიაა.

ხელისუფლება გულმოდგინედ ხუჭავს თვალს იმაზე, რომ სტუდენტების პროტესტი ახალი თაობის სამოქალაქო პროტესტია და იგი არ არის დაკავშირებული რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან, კრიმინალურ სამყაროსთან თუ რეტროგრადებთან. ეს არის სრულიად გულწრფელი და გულგახსნილი განცხადება იმისა, რომ ჩვენს საზოგადოებას აღარ სურს იცხოვროს ვიღაცის უკეთურ უტოპიაში, როგორც საბჭოთა ეპოქაში იტყოდნენ, ვიღაცის კოშმარულ სიზმარში.

**— ხელისუფლება შეეცადა, სტუდენტების მღელვარების ჩასაცხრობად საპატრიარქო გამოეყენებინა, შედეგად მივიღეთ ის, რომ ეკლესიის ერთი ნაწილი სტუდენტებს დაშლისკენ მოუწოდებს, მეორე ნაწილი დღევანდელ ხელისუფლებას ბოროტებას უწოდებს. იკვეთება ისიც, რომ ხელისუფლება ყველაფერზე წამსვლელია, როგორ ხედავთ ამ შემთხვევაში ეკლესიის როლს?**

— სასულიერო პირები ისევე გამოიყვანა მდგომარეობიდან ბოლო მოვლენებმა, როგორც — ნებისმიერი სხვა. ამ სიტუაციაში ძნელია წონასწორობის შენარჩუნება, არადა, ეკლესია ყოველგვარ პოლიტიკურ ბრძოლაზე მაღლა უნდა იდგეს. ჩვენს სიტუაციაში და ჩვენი ემოციურობის პირობებში იბრძოლო სიკეთისათვის ისე, რომ არ აღმოჩნდე პოლიტიკურ დაპირისპირებაში ჩართული, ძნელია. პატრიარქი სწორედ წონასწორობისა და ეკლესიის როლის შენარჩუნებას ცდილობს, უკვე 25 წელია, მას შემდეგ, რაც საქართველო პოლიტიკურ დაპირისპირებათა ასპარეზად იქცა. ერთია ვინმეს მხილება, თუ იგი ბოროტებას სჩადის და მეორე - ვინმეს პოლიტიკური მხარდაჭერა. არადა, ხელისუფლებასთან ერთად, ამ ქვეყანაში ძალიან ბევრს სურს, რომ ეკლესია პოლიტიკურ ბრძოლაში ჩართული იხილოს. ბევრს აქვს იმედი, რომ მისი ავტორიტეტის ტალღაზე შეინარჩუნებს ან მოიპოვებს ხელისუფლებას და ვერ გრძნობენ, რომ მიუხედავად რიტორიკისა, ამით ეკლესიის მნიშვნელობას აკნინებენ.

ამ საქმეში წამყვანი როლი დღევანდელ ხელისუფლებას აქვს. უკვე ცხრა წელია, მისი წარმომადგენლები ცდილობენ, დაგვიმტკიცონ, რომ ჭეშმარიტი მართლმადიდებლები არიან და, რომ აზრადაც არ მოსვლიათ ეკლესიასთან დაპირისპირება. ცოტა არ იყოს გვიან აღმოაჩინეს, თუ რა ძალაა ეკლესია. ამიტომაც არის, რომ ერთის მხრივ, მის გამოყენებას ცდილობენ, ხოლო როგორც კი სიტუაცია განიმუხტება, კვლავ მისი ავტორიტეტის დაკნინებაზე იწყებენ ზრუნვას.

**ლალი ზირაქიშვილი**

SIC!

## ხელისუფლებაში ურთიერთგადაბრალებები დაიწყო

**გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციას“ საქართველოს პრეზიდენტმა 2009 წელს მოაწერა ხელი, მაგრამ უკვე მესამე წელია, მისი რატიფიცირება ფერხდება.**

როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „ინვალიდ ქალთა და ბავშვთა ასოციაცია დეაში“ აცხადებენ, პარლამენტის მიერ მიღებული კონვენცია გადაეგზავნა მთავრობას. მას თავის მხრივ უნდა შეემუშავებინა სამწლიანი (2004-2012 წ.წ.) სამუშაო გეგმა. მთავრობამ მართლაც შეიმუშავა, მაგრამ ის ნაჩქარევად, ვადის გასვლამდე 3 თვეში დაიწერა და მასში უამრავი ხარვეზია, ამის გამო სამუშაო გეგმის მოდელიც კი არ არსებობს.

არასამთავრობოები განსაკუთრებით ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ არ არსებობს უნარშეზღუდულთა სტატუსი, სტატუსი არის სოციალური ბენეფიტის წყარო. ეს არის ერთის მხრივ ფულადი კომპენსაცია და მეორეს მხრივ გარკვეული არაფულადი ბენეფიტების მიღების შესაძლებლობა. არადა, პროექტს ევროკავშირი აფინანსებს.

სპეციალისტების განმარტებით, როგორც პარლამენტი, ასევე მთავრობა შეგნებულად აჭიანურებენ კონვენციის რატიფიცირებას, თუმცა საჯაროდ ურთიერთბრალდებებით გამოდიან. მიზეზი საქმის გაჭიანურებისა ის არის, რომ ხელისუფლებას სურს დაფაროს აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტი. სახელმწიფოს არ აწყობს ჩვენში ადამიანის უფლებების დაცვის ეფექტური მექანიზმის დანერგვა, რომელიც გამოავლენდა კონკრეტული ჯგუფის უფლებების სისტემატურ დარღვევებს.

აქვე ნაციონალები პასუხისმგებლობასაც გაურბიან. კონვენციის რატიფიცირების შემთხვევაში სახელმწიფო ვალდებული იქნება ყოველ 4 წელიწადში გაუგზავნოს გაეროს შესაბამის კომიტეტს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების ანგარიში. თავის მხრივ უნარდაქვეითებულებს შეეძლებათ მიმართონ გაეროს მათი უფლებების დარღვევის შესახებ და მოითხოვონ უფლებების აღდგენა.

აქედან გამომდინარე, — ასკვნიან ექსპერტები — ამ სამი წლის განმავლობაში გათავხედებულ ვარდოსნებს უნდოდათ 2 ახალი მაკონტროლებლის გაჩენა? საქმეც ამის გამო გაჭიანურდა.

**ზაზა ბილიხოძე**

ინფორმაცია

## თბილისობისთვის ყურძნის შესაძენად 77 ათასი ლარი გამოიყო

**„თბილისის მერიამ „თბილისობა 2012“-ის სამზადისი დაიწყო. როგორც მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერიდან ირკვევა, ცენტრალურ ღონისძიებად წელსაც ყურძნის მასობრივი დაწურვა რჩება. მერია 55 000 კილოგრამი ყურძნის შეძენას აპირებს და ამისათვის 77 ათასი ლარი გამოყო.**




**ყურძნის მიწოდება 6 ოქტომბრის დილას 7-8 საათამდე უნდა მოესწროს თბილისის 17 სხვადასხვა უბანში. თითოეულ უბანზე 300 კილოგრამი ყურძენია გათვალისწინებული. თბილისის მერია 1 კილოგრამ თეთრ ყურძენს ტრანსპორტირების ხარჯების ჩათვლით დაახლოებით 1,4 ლარად ყიდულობს. დაწურულ ბადაგს გასული წლების ტრადიციის გათვალისწინებით მოსახლეობას უფასოდ დაურიგებენ.**

ინტერპრესი

ვარაუდი

# „თუ ფილმებმაც არ უშველა, შეეცდება რომელიმე საზღვარზე დაძაბოს სიტუაცია“

ყველაზე „რთულ“ საარჩევნო რეგიონში, ზუგდიდში კიდევ ერთხელ მოხდა ოპოზიციის არნახული მხარდაჭერის დემონსტრირება. მეორე დღესვე სააკაშვილი შეეცადა, თავისი მაჟორიტარობის კანდიდატისთვის პოზიციები გაემყარებინა და გადაემოწმებინა კიდევ დარჩა თუ არა მხარდამჭერები და ისევ ასოცირდება თუ არა „ნაციონალური მოძრაობის“ სახელი ამჯერად უკვე ცოცხთან. როგორც ჩანს, ნანახით მაინც და მაინც კმაყოფილი არ არის, რადგან სახელმწიფო აპარატმა უკვე დაიწყო მთელი სიმძლავრით ოპოზიციის წინააღმდეგ მუშაობა. აპატიმრებენ ხალხს, თხზავენ ისტორიებს.

ექსპერტი **კახა კახიშვილი** თვლის, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი თავსატეხი ხელისუფლებისთვის თემის გადაფარვაა, მეტი არაფერი.

**„დღეს ვხედავთ, რომ თემის გადაფარვა უფრო აქტუალურია, ვიდრე ის, რატომ ჩამოყალიბდა სახელმწიფოში ასეთი სადამსჯელო სისტემა. თუ ფილმებმაც არ უშველა, უკვე შეეცდება რომელიმე საზღვარზე დაძაბოს სიტუაცია, რათა თემა გადაფაროს“,** – მიიჩნევს კახიშვილი.

და მაინც, მოხდა თუ არა საზოგადოებაში ის გარდატეხა, რაზეც პოლიტიკოსებიცა და ექსპერტებიც ბევრს საუბრობდნენ. ექსპერტი **ვახტანგ ძაბირაძე** თვლის, რომ ზუგდიდში მოხდა უბრალოდ, მხარდაჭერის გამოვლინება.

**„ის, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი მხარს უჭერდა ივანიშვილს, 27 მაისს თბილისში გამართულმა აქციამ ვიზუალურად აჩვენა. ლაპარაკი ყოველთვის იყო იმაზე, რომ სამეგრელოში ახალაიებსა და სხვა კლანებს ძალაუფლება ჰქონდათ ხელში აღებული, ატერორებდნენ მოსახლეობას და ა.შ.**

**როდესაც ერთ-ერთი გამოკითხვა ჩატარდა (NDI-სგან განსხვავებული), გამოვლინდა, რომ სამეგრელოში თითქოს ორი რაიონი მხარს უჭერდა ივანიშვილს, ანუ ღიად გამოხატავდა ამას. დარწმუნებული ვარ, რომ ზუგდიდშიც იგივე განწყობა იყო, მაგრამ ცდილობდნენ, ხმამაღლა არ გამოეხატათ. ბოლო დღეებში საქართველოში ისეთი რამეები მოხდა, რომ ხელისუფლება სრულიად გაკოტრებულია. უკვე აღარ ვიცი, მას მხარს დაუჭერს თუ არა თავისივე შემადგენელი ნაწილი, რომელსაც სახელისუფლებო რესურსი ჰქვია. მგონია, რომ გარდატეხა მოხდა, მოსახლეობა აღარ ერიდება თავისი შეხედულების და მოსაზრების ღიად გამოხატვას და დაფიქსირებას და ამისი დემონსტრირება იყო ზუგდიდში“,** – აცხადებს ვახტანგ ძაბირაძე.

კახა კახიშვილი თვლის, რომ იმ კადრებმა, რაც რამდენიმე დღის წინათ იყო ნაჩვენები არა მხოლოდ ზუგდიდში, მთელ საქართველოში მოახდინა გარდატეხა.

**„მოდით, ვთქვათ, რომ გარდატეხა მოახდინა ამ კადრებმა, რომელიც პირდაპირ არის მიბმული ზუგდიდის აქციასთან. ის კადრები რომ არ ყოფილიყო ნაჩვენები, შეიძლება, ზუგდიდის აქცია ასე ხალხმრავალი არც ყოფილიყო. ისიც ვთქვათ, რომ აქციაზე გამოსვლით ხალხმა ის არაადამიანური მოპყრობაც გააპროტესტა, რაც ჩვენ ვიხილეთ რამდენიმე დღის წინათ. ვიხილეთ ჯაჭვური რეაქციაც, „ნაციონალური მოძრაობის“ კოორდინატორებმაც დატოვეს „ნაციონალური მოძრაობა“ და ზუგდიდში სააკაშვილის მომხრეებიც პარალიზებულები იყვნენ. ამანაც შეუწყო ხელი ხალხმრავლობას, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველაფერი წინ არის. მოვისმინეთ უკვე საკმაოდ გამკაცრებული რიტორიკა საქართველოს პრეზიდენტისა, რომელსაც მოჰყვა ფაცაციას, შემდეგ რამდენიმე სტუდენტის და დაჩი ცაგურიას დაპატიმრება. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ხელისუფლება ასეთი განწყობით ამომრჩეველს არჩევნებამდე არ მიიყვანს, გადაფარვა მოხდება“,** – ამბობს კახიშვილი.

**„ბოლო პერიოდში ვნახეთ, რომ ხელისუფლებამ არა მხოლოდ მისთვის ისედაც დაკარგული ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩეველი დაკარგა, არამედ საკუთარი ამომრჩევლის ნაწილიც, ნაწილი კი დემორალიზებულია. ვხედავთ, რომ ზოგი პროტესტის, ზოგი შიშის გამო აღარ იცვამს „ნაციონალური მოძრაობის“ მაისურებს და სამარშრუტო ტაქსებსაც და ავტობუსებსაც „ნაციონალური მოძრაობის“ აგიტაციის რეკლამაც კი ჩამოხსნეს“,** – მიიჩნევს კახიშვილი.

**გამოვიდოდა თუ არა ზუგდიდში ამდენი ხალხი, ეს კადრები რომ არ გამოქვეყნებულიყო?** ვახტანგ ძაბირაძე თვლის, რომ საქართველოში არჩევნებამდე ბოლო ორი კვირის განმავლობაში ხდება ხოლმე გარდატეხა და ეს უკვე ტრადიციასავით იქცა.

**„ეს ის დროა, როდესაც ყველა ადამიანი ქვეცნობიერად ფიქრობს, რომ ველარ მოასწრებენ მის დასჯას, რეაგირებას მის ქმედებაზე. ბოლო ორი კვირის განმავლობაში საზოგადოება უფრო ღია, გახსნილი და თამამია ხოლმე, ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ ეს კადრები რომ არ ყოფილიყო, ზუგდიდში ამდენი ხალხი არ გამოვიდოდა. საზოგადოება ყველგან ერთნაირია. თუმცა, ძალზე დიდი როლი შეასრულა იმ კადრების გამოქვეყნებამ, ასევე იმ ფაქტმა, როლანდ ახალაიასთან ინტერვიუზე რომ მივიდნენ და ინციდენტი მოხდა, – ამ ყველაფერმა იმუშავა. მთელ საქართველოში მოხდა გარდატეხა და წამების ფაქტები კიდევ უფრო იმუშავებს, არჩევნების შემდეგაც, ტყუილია, რომ ასეთი რამ ყველგან ხდება, არ გამიგია, მსგავსი რამ სხვაგან მომხდარიყო“,** – ამბობს ძაბირაძე.




როგორც ჩანს, ზუგდიდმა კიდევ ერთხელ დაარწმუნა საქართველოს პრეზიდენტი, რომ ის მართლაც დიდ გასაჭირშია და ცდილობს, როგორმე ეს ყველაფერი „ქართულ ოცნებას“ დააბრალოს. აცხადებს, რომ მან დაუკვეთა ამ კადრების გადაღება. იმუშავებს თუ არა სააკაშვილის ეს პოლიტიკა და ირწმუნებს თუ არა საზოგადოება ამას, უახლოეს დღეებში გამოვლინდება, მაგრამ ექსპერტები ფიქრობენ, რომ სააკაშვილს არსენალში სხვა გეგმებიც აქვს.

ვახტანგ ძაბირაძე ამბობს, რომ ეს პროპაგანდაა და რაღაც დოზით პროპაგანდა ყოველთვის მუშაობს, მაგრამ როდესაც გარკვეულ დონეს მიაღწევს, საზოგადოება შემდეგ სიმართლესაც აღარ ღებულობს.

**„არ მგონია, ამით ხელისუფლებამ სიტუაციის შეცვლა ან თავისი მდგომარეობის გაუმჯობესება შეძლოს. ვისაც არ უნდა დაეკვეთა და როგორც არ უნდა დაეკვეთა, ჯერ ერთი, რომ ეს იმ დროს გადაღებული კადრებია, როდესაც ივანიშვილი პოლიტიკაში არ იყო. გარდა ამისა, თუ ხელისუფლება ვერ ახერხებს პენიტენციარული სისტემა დაიცვას ივანიშვილის მოსყიდვისგან, როგორც თვითონ ამბობს, მაშინ რაზეა ლაპარაკი, ეს ყველაფერი ყოფილა ბლეფი და ბლეფიც არის. ეს ხომ ერთეული ფაქტები არ ყოფილა, ეს იყო მიზანმიმართული პოლიტიკა პატიმართა მიმართ. ეს არ ყოფილა მხოლოდ გლდანში, ვიცით, რომ მარტო 700-მა პატიმარმა ქსნის კოლონიაში მოაწერა ხელი საჩივარს. თუ ყველა იყიდა ივანიშვილმა, მაშინ რაღას ვერჩით დავანებოთ თავი, ყველა უყიდია და ეს არის. გამორიცხულია, რომ ამ პროპაგანდამ რაღაც შედეგი მოუტანოს ხელისუფლებას“,** – აცხადებს ძაბირაძე.

**მაშინ, როდესაც საზოგადოების განწყობა ნათელია, შეგვიძლია თუ არა ზუსტად სამი დღით ადრე, ვთქვათ, რომ არჩევნების ბედი გადაწყვეტილია,** ვახტანგ ძაბირაძე თვლის, რომ ხელისუფლებას თანდათან ეცლება ბოლო კოზირები იმისათვის, რომ მან არჩევნების გაყალბება გაბედოს, თუმცა, კახა კახიშვილი თვლის, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ასე მარტივად არ დათმობს. კახიშვილის აზრით, ხელისუფლება შეეცდება, ისეთი თემით გადაფაროს ეს მოვლენები, რომ საკუთარი მხარდამჭერების მობილიზაცია მაინც მოახდინოს.

**„ოპოზიციის მხრიდან პოლიტიკური ტემპერატურის შენელება არასწორი ნაბიჯი იქნებოდა, ერთია, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ შეეცდება გადაფაროს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ასეთი კადრები კიდევ იქნება. თუმცა, არ მესმის პოლიტიკოსების მხრიდან მოწოდება, ახლა არ გვინდა აქციები და დაველოდოთ პირველ ოქტომბერსო. პროტესტის უფლება ყველა ადამიანს აქვს, შეიძლება ქუჩები არ გადაკეტო, მაგრამ ამ კადრების შემდეგ როგორ უნდა მიგითითოს რომელიმე პოლიტიკოსმა, მით უმეტეს ოპოზიციამ, რომ აქციები არ გინდათო. ჩვენ ვნახეთ პროკურატურის მოთხოვნა, რომ ახლავე გამოაქვეყნონ თუ რამე აქვთ, მათ სურთ, შემდგომში აიცილონ მსგავსი კადრების ჩვენება“,** – ამბობს კახიშვილი, რომელიც თვლის, რომ „ქართული ოცნების“ გვირგვინი იქნება 29 სექტემბერი და დარწმუნებულია, რომ ეს იქნება მრავალათასიანი აქცია თბილისში, მაგრამ ამით „ნაციონალური მოძრაობა“ შეეცდება, ეს ყველაფერი კიდევ რაღაცით გადაფაროს.

**„ასე რომ, ყველაფერი წინ გვაქვს, რაც უფრო მივუახლოვდებით არჩევნების დღეს, ყველაფერი უფრო გამწვავდება. ჩვენი პრეზიდენტის ხასიათიდან გამომდინარე, მისი რიტორიკა მხოლოდ მაშინ მკაცრდება, როდესაც ხელისუფლების გადარჩენის რაღაც მონახაზები აქვს. მისი რიტორიკა უკვე აჩვენებს, რომ რაღაც უკვე გაკვალეს. არც ისეა, რომ ყველაფერი, მორჩა. ეს ის ხელისუფლება არ არის, რომელიც ასე მარტივად დათმობს ძალაუფლებას“,** – ამბობს კახიშვილი.

**„შეიძლება ისევ რუსეთის ფაქტორი წამოატივტივონ, ივანიშვილის კომპრომეტირება მოახდინონ, რუსეთთან ერთად ძალისმიერი მეთოდებით ცდილობს ამ ხელისუფლების შეცვლასო. სტუდენტების აქციებისგან ივანიშვილის შორს ყოფნა, სწორია. ის რომ ყოფილიყო ორგანიზატორი, უკვე იტყოდნენ, რომ ეს ერთიანი გეგმის ნაწილი იყო“.**

**მარიამ თოდაძე**

ვინ-ვის?

# ძალადობამ ნაციონალების კრახი გამოიწვია

(მეოთხე გვერდიდან)

**– თინა ხიდაშელის განცხადებით, – „კოალიციის ლიდერებსა და მხარდამჭერებზე ნადირობა დაიწყო“. რას შეიძლება ნიშნავდეს „ქართული ოცნების“ აქტივისტების გახშირებული დაკავებები, დაშინებები, შანტაჟი, ვიდეომასალების გავრცელება, რომლითაც კოალიციის მხარდამჭერები პოლიციელების მოსყიდვას ცდილობდნენ? ანაც, პრეზიდენტის მიერ კვლავ იმის მტკიცება, რომ ივანიშვილი „რუსული პროექტია“ და კიდევ, რამდენად აღწევს მიზანს სახელისუფლებო პროპაგანდისტული მანქანის მთავარი გზავნილი - „თუ ამომრჩეველმა სწორი არჩევანი არ გააკეთა, ქვეყნის მმართველობაში შევარდნაძის დროინდელი ჩინოვნიკები და კანონიერი ქურდები დაბრუნდებიან“?**

– კარგია, რომ უსამართლობის ამ ფაქტებზე ასე დროულად და გასაგებად რეაგირებს ეუთო, ჩვენი საამაყო სტუდენტობა, სხვებიც. სამწუხაროა, რომ 20 წელია, საქართველოში არჩევნები არსებული და არარსებული საგარეო საფრთხეებით სპეკულირების ფონზე ტარდება. ეს ხომ დემოკრატიულობის სისუსტის აშკარა ნიშანია. ისრაელი, სხვა სახელმწიფოებიც, მუდმივი საგარეო თუ საშინაო ნაღმების პირობებშიც კი ახერხებს დემოკრატიის ნორმების ერთგულებას და სამართლებრივი სახელმწიფოს განმტკიცებას.

**– ბევრი მიიჩნევს, რომ საქართველოში ხელისუფლების ცვლილების დრო დიდი ხანია, დამდგარია. 2003 წელსაც საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი ითხოვდა შევარდნაძის ხელისუფლების შეცვლას. თქვენი აზრით, რა განსხვავება და მსგავსებაა 2003 წელსა და 2012 წელს ხელისუფლების შეცვლის მოთხოვნებში?**

– უდავოა, რომ ხელისუფლების შეცვლის ვადას, მხოლოდ კანონი და ხალხის ნება განსაზღვრავს. 2003 და 2012 წლებს შორის მსგავსება ცოტაა. კვლავაც დაბალია სამოქალაქო და პოლიტიკური კულტურა. ხელისუფლება მაშინაც და ახლაც ზედმეტად თვითდაჯერებულია. უკიდურესად პოლარიზებულია საზოგადოებრივი ცხოვრება. დიდია უნდობლობა საარჩევნო კომისიისა და საერთოდ, ხელისუფლებისადმი. ჭარბობს სიძულვილის ენა, აშკარაა ადმინისტრაციული რესურსის უხეში გამოყენება. ამ წლებს შორის ძირითადი განსხვავება ისაა, რომ შეუდარებლად დაიხვეწა ხელისუფლების მხრიდან წინასაარჩევნო წნეხის მექანიზმი. ამასთან ერთად, საზოგადოების დიდმა ნაწილმა სწორი დასკვნები გააკეთა წარსულის შეცდომებიდან და უარი თქვა ახალ რევოლუციურ სცენარზე.

**– წინასაარჩევნო პერიოდია და არჩევნებამდე, თავად არჩევნებზე და არჩევნების შემდეგ მოვლენათა განვითარების სხვადასხვა სცენარებზე არაერთი მოსაზრება გამოითქმის. ამ თვალსაზრისით, როგორია თქვენი პროგნოზიცა და მოლოდინებიც?**

– როგორც ჩანს, დარჩენილ დღეებში დაძაბულობის მუხტი მკვეთრად გაიზრდება. არჩევნების დღის ბოლო და მომდევნო უახლოესი დღეები, მოსალოდნელი უხეში დარღვევებისა და ჩვენში გამარჯვებისა და დამარცხების კულტურის არარსებობის გამო, სამწუხაროდ, შესაძლოა, დრამატულიც აღმოჩნდეს.

**– ბატონო არმაზ, თქვენ ჩვენს ხელისუფლებას საკმაოდ კარგად იცნობთ. შესაძლოა, ახლა მათთან კონტაქტი ისე ინტენსიურად არ გქონდეთ, როგორც ვარდების რევოლუციამდე, მაგრამ თქვენი დაკვირვებით, შეგიძლიათ თქვათ, რომ ხელისუფლების მმართველ გუნდს იმდენად აქვს გაცნობიერებული ქვეყნის წინაშე პასუხიმგებლობა, რომ არჩევნებში დამარცხების შემთხვევაში, ისინი ქვეყანაში ვითარების არევას მოერიდებიან? სამწუხაროდ, ბევრი მიიჩნევს, რომ მმართველი გუნდი ძალაუფლების შესანარჩუნებლად არეულობის ინსპირირებასაც კი არ მოერიდება...**

– ხელისუფლება მძიმე არჩევანის წინაშე დგას. არჩევნების შედეგების გაყალბება საზოგადოების უპრეცედენტო პროტესტს, სახელისუფლებო ძალადობა კი მის საბოლოო კრახს გამოიწვევს. დღევანდელ მმართველ პოლიტიკურ ძალას ჯერ კიდევ აქვს შანსი, დადგეს ძალაუფლების გადაცემის დემოკრატიული ტრადიციის ჩამოყალიბების სათავეებთან.

**კობა ბენდელიანი**

საქართველო გისოსებში

# რატომ იზრდება პატიმართა რაოდენობა?

ამ კითხვაზე პასუხი ერთგვაროვანია: ნაციონალური მოძრაობის მესვეურებს სურთ მორჩილებაში ჰყავდეთ საქართველოს მოსახლეობა, რათა მათი მზაკვრული საქმეების წინააღმდეგ სიტყვის დაძვრაც ვერავინ გაბედოს. საქმე იქამდე მივიდა, რომ საპატიმროებში მეტად საეჭვო ვითარებაში გარდაცვლილთა მშობლებიც კი გააჩუმეს ოჯახის სხვა წევრების დაჭერის მუქარით. უზნეობის ზეიმმა საპატიმროებში, ისევე როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში, აპოგეას მიაღწია. აღარავინ ჩანდა ბინძური საქმეების გამკითხავი, სანამ პოლიტიკურ სივრცეში არ გამოჩნდა ცნობილი ბიზნესმენი და ქველმოქმედი ბატონი ბიძინა ივანიშვილი, რომლის დევიზია: ადამიანი ვერ იქნები ბედნიერი, თუ შენი თანამოქალაქეები უდიდეს გაჭირვებაში იმყოფებიან და აქ მარტოოდენ ეკონომიკური პირობები როდი იგულისხმება. მან შესანიშნავად იცის, რომ „საზოგადო გაჭირვება პიროვნების გაჭირვებაზე უფრო ძნელია, რადგან ჰქრება დახმარების იმედი“. მისი დევიზია, აგრეთვე, ძველი ბერძენი ფილოსოფოსის დემოკრატეს ნათქვამიც: „ქველმოქმედი ის კი არაა, ვისაც სარგებლობა აინტერესებს, არამედ ის, ვინც უანგაროდ მოქმედებს“.

თუ პირველ სათქმელს დავუბრუნდებით, საქართველოში ისტორიულად სხვადასხვა სახის დანაშაულზე ბევრად უფრო მსუბუქი სასჯელი იყო გათვალისწინებული, ვიდრე ანალოგიურ დანაშაულზე რუსეთსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. სიკვდილით დასჯა კი იშვიათი სასჯელი იყო. ქართული სამართლის მიხედვით, საერთოდ სიკვდილით დასჯა იშვიათად ხდებოდა. ასეთი უმაღლესი სასჯელი მხოლოდ მეფისა და სახელმწიფოს ღალატისათვის არსებობდა. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, „მძიმე სასჯელის აღსრულებამდე ქართული სისხლის სამართლის თანახმად, მეფის „მეცნიერება“ და „შეკითხვა“ იყო საჭირო განაჩენის სრულყოფის შესახებ „ბრძანების“, ანუ დასტურის მისაღებად. თამარ მეფის ისტორიკოსის, ბასილი ეზოსმოძღვრის მიხედვით, „დღეთა შინა თამარისთა არავინ გამოჩნდა მომძლავრებული მეცნიერებითა მისითა, არცა ვინ დასჯილი“ იყოო. როდესაც თამარ მეფე გარდაიცვალა და „იცვალა ფერი ქართველთა მხიარულებისა“, იგივე ისტორიკოსი ჩამოთვლის თამარ მეფის დამსახურებებს და აღნიშნავს: თამარ მეფემ „რაოდენნი სიკუდილად დასჯილნი განათავისუფლნაო“. ეს საკითხი არც იტალიელი მისიონერებსა და ევროპელ მოგზაურებს გამორჩენიათ მხედველობიდან. მაგალითად, იტალიელი მისიონერი დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, რომელმაც XVII საუკუნეში იმოგზაურა საქართველოში, აღნიშნავს: საქართველოში „მიუტევებელი ბოროტმოქმედების ჩადენისთვის, რომელიც სიკვდილით უნდა დაისაჯოს, თვალებს თხრიან, ვინაიდან სიკვდილით დასჯა ცოდვად ითვლებაო“ (დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. წერილები საქართველოზე. თბ., 1964, გვ. 88ძ.

ჭეშმარიტება რადგან ყოველთვის კონკრეტულია, ასეთი ფაქტიც უნდა მოვიყვანოთ. კომუნისტების ბატონობის ბოლო ეპოქაში ყოფილ საბჭოთა კავშირსა და, მათ შორის, რესპუბლიკებშიც სულ უფრო მცირდებოდა პატიმართა რაოდენობა. 1989 წელს საქართველოში მოსახლეობის ყოველ 100 000 კაცზე 154 პატიმარი მოდიოდა და ამ მაჩვენებლით რესპუბლიკებს შორის მე-11 ადგილზე ვიმყოფებოდით რუსეთის (100 000 კაცზე 296 პატიმარიძ, ლიტვიის (276ძ, ყაზახეთის (245ძ, ბელორუსიის (238ძ, მოლდავეთის (217ძ, ესტონეთის (210ძ, ლიტვის (203ძ, უკრაინის (174ძ, ყირგიზეთისა (161ძ და თურქმენეთის (156ძ შემდეგ (Народние хозяйство СССР в 1989 г. М. с. 17, 257ძ. შემდეგ წლებში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო შემცირდა და მან არნახული ზრდა დაიწყო 2004-2005 წლებთან – ხელისუფლებაში „ნაცების“ მოსვლის დროიდან. ნაციონალები მაშინვე შეუდგნენ ციხეების მშენებლობას და საზოგადოებას ეგონა, რომ ეს ხდებოდა პატიმრების პირობების გაუმჯობესებისათვის, მაგრამ მათი დაფარული მიზნები უმალვე გამომჟღავნდა, როდესაც დაიწყო ძირითადად სრულიად უმიზეზოდ ადამიანების დაჭერა, არასრულწლოვანებისთვის და, საერთოდ, პატიმრებისათვის დაუმსახურებლად ხანგრძლივი დროით თავისუფლების აღკვეთა, პატიმრების საცხოვრებელი პირობების არსებითი გაუარესება და, რაც მეტად არსებითია, პატიმართა არნახული წამება.

მას შემდეგ, რაც ამ დღეებში საქართველოს ციხეებში ადამიანთა გონებისთვის მიუწვდომელი, პატიმართა წამების ფაქტები ტელევიზიით ვიხილეთ, მთელი საქართველო შეძრწუნებულია და არა – აღელვებული, როგორც ეს პრეზიდენტმა განაცხადა. თვით ფაშისტურ სიკვდილის მანქანასაც კი არ მოსვლია აზრად, ასე ეწამებინა თავისი მოქალაქეები.



ადრე თუ გვიან, უფრო კი ადრე, ამ საშინელი დანაშაულის შემკვეთად ყველა შემსრულებელი ერთი კაცისკენ გაიშვერს ხელს და ეს ერთი კაცი საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტი იქნება, რომელმაც თავისი ბავშვობის ბოროტი სურვილების ასრულებას საშველი არ დააყენა. სწორედ მისმა გაუაზრებელმა ქმედებებმა განაპირობა ის ფაქტი, რომ ათი ათასობით ჩვენი თანამოქალაქე მორალურად უფრო ადრე მოკვდა, ვიდრე ფიზიკურად და არა მარტო ციხეებში. წამდაუწუმ მამაცური ფრაზების ბავშვურად სროლა იმის შესახებ, რომ რამდენიმე რამე ავაშენეთ, ამდენი გზები გავიყვანეთ და დღევანდელი თბილისი გუშინდელს არ ჰგავსო, სრულებითაც არაფერს ნიშნავს. ჯერ ერთი, რაც ავაშენეთ, ვალებით ავაშენეთ. მეორეც – 1990-იან წლებში ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში უმძიმესი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება შეიქმნა, მაგრამ შემდეგ თანდათანობით ყველგან შენებაც დაიწყო, ბევრად უფრო ფართოდ და ხარისხიანად, ვიდრე ჩვენთან. შორს რომ არ წავიდეთ, აზერბაიჯანში შესანიშნავი გზები, ესტაკადები იგება, მშვენიერი შენობები შენდება ეროვნული ტრადიციების გათვალისწინებით და არა დაღვლარჭნილი შენობები ერთი კაცის ხუშტურის მიხედვით, ვერც მათხოვრებს შეხვდებით. თბილისში კი ათი ათასობით ადამიანი მათხოვრობს და ბევრიც ნაგვის ბუნკერებში მოპოვებული საჭმლის ნარჩენებით ირჩენს თავს.

ციხეების კადრების გამოქვეყნების შემდეგ მთავრობის წევრებს სხვა გზა აღარ დარჩათ და ერთ ხმაში აღიარეს სასჯელაღსრულების სისტემის რღვევა, მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ანალოგიური ვითარებაა შექმნილი და ეს ფაქტიც ქვეყანაში არსებულ რეალურ ვითარებას ასახავს. ახლა „ნაცებმა“ რაც უნდა ნიანგის ცრემლები ღვარონ, მათი დაჯერება შეუძლებელია. როგორც ერთ, ძველ ლიტერატურულ ძეგლშია ნათქვამი – „ვიდრე მთათა ზედა ქარნი ქროდეს და ზღვათა შიგან წყალი და თევზი იპოებოდეს, ბნელსა ღამესა სიშავე ჰქონდეს, ცათა შიგან ვარსკვლავი იპოებოდეს და კაცსა სული ტანსა შიგან“, „ნაცები“ თავისას არ მოიშლიან.

ციხეებში არსებული ვითარება უაღრესად ამძიმებს დემოგრაფიულ ვითარებას ქვეყანაში. ოფიციალური მონაცემებით, ამჟამად საქართველოში 25 ათასამდე პატიმარია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2012 წლის დასაწყისში მოსახლეობის რაოდენობა 4 მილიონ 497 ათას კაცს უდრიდა. მაშასადამე, ყოველ 100 ათას კაცზე 557 პატიმარი მოდის, რაც ევროპაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. მასობრივი საინფორმაციო საშუალებები აქვეყნებენ სხვა ცნობებსაც, რომლის მიხედვით, პატიმართა რაოდენობა 32 ათას კაცს უდრის. ამავე დროს, ქართველი დემოგრაფების გაანგარიშებით, საქართველოს მუდმივი მოსახლეობის რაოდენობა ამჟამად 3785900 კაცს უდრის. მოსახლეობის ამ რაოდენობაში შედიან საქართველოს ის მოქალაქეებიც, რომლებიც ბოლო ერთი წლის განმავლობაში საზღვარგარეთ იმყოფებიან (მაგალითად, სეზონურ სამუშაოზე, სასწავლებლად, სამკურნალოდ და სხვ.ძ. ამრიგად, თუ აღნიშნულ ფაქტორსაც მივიღებთ მხედველობაში, საქართველოს მოსახლეობა 3600 000 მეტი არ უნდა იყოს. ამ შემთხვევაში საქართველოში ყოველ ასი ათას მოსახლეზე 889 პატიმარი მოდის და ამ მაჩვენებლით, უკვე მსოფლიოში „საპატიო“ პირველ ადგილზე ვიმყოფებით.

მოვლენა რომ უფრო ნათელი გახდეს, რამდენიმე ფაქტორსაც უნდა მივაქციოთ ყურადღება. ისევ ოფიციალური მონაცემებით, ბოლო რვა წელიწადში პატიმართა რაოდენობა 5-ჯერ გაიზარდა. ასეთ მოკლე პერიოდში პატიმართა ასეთი ზრდა მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ყოფილა. ჩვენი მსჯელობა რომ სრულყოფილი გახდეს, უნდა აღინიშნოს შემდეგი: პატიმართა რაოდენობა გაზრდის ნაცვლად უნდა შემცირებულიყო. ამას ის უცილობელი ფაქტი ამტკიცებს, რომ ბოლო წლებში საქართველოდან თითქმის მილიონნახევარი ადამიანი წავიდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში საცხოვრებლად. მიგრანტები, ძირითადად, 20-50 წლის ასაკისანი იყვნენ, მაშასადამე, ქვეყანაში უპირატესად, მოზარდები და შედარებით უფროსი ასაკის ადამიანები დარჩნენ, რომელთა შორის დანაშაულის ჩადენის ალბათობა ნაკლებია. ამრიგად, დანაშაულის როგორც აბსოლუტური რაოდენობა ისე ინტენსიურობის სიხშირე უნდა შემცირებულიყო. ყოველივე ეს იმ მოსაზრების განვითარების საშუალებასაც გვაძლევს, რომ ხელისუფლებაში ძალადობის გზით მოსული ახალგაზრდა პოლიტიკოსები თავიდანვე გეგმავდნენ პატიმრების რაოდენობის გაზრდას მცირედი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, მათი მზაკვრული მიზნების ადვილად მისაღწევად, სრულიად უდანაშაულო ადამიანების დაპატიმრებას, რათა დაშინების გზით აბსოლუტურ მორჩილებაში ჰყოლოდათ მოსახლეობა. ასე ვიქეცით გაციხებულ ქვეყნად.

მსჯელობის თანამიმდევრულობა გვიკარნახებს საპროცესო გარიგების შედეგად პრობაციონერთა რაოდენობის ანალიზის გაკეთებას. ერთი საკითხია, რამდენად სრულყოფილია ჩვენთან საპროცესო გარიგების ინსტიტუტი, ხოლო მეორე და მეტად მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ პრობაციონერთა რაოდენობა ამჟამად 300 ათასი კაცია. აქ იმის შესახებაც უნდა ითქვას, რომ ბოლო რვა წელიწადში ზოგმა მოიხადა პატიმრობის ვადა, ზოგ პრობაციონერს გაუვიდა პირობითი სასჯელის ვადა. მთლიანად პატიმართა და პრობაციონერთა რაოდენობა, რომლებიც ახლა იხდიან ან მოიხადეს სასჯელი, 400 ათას კაცს მაინც შეადგენს, ანუ ყოველ 100 ათას კაცზე, 10556 კაცს, რაც ქვეყნის მთელი მოსახლეობის 10,5 პროცენტია. დიდ შეცდომას არ დავუშვებთ, თუ მივიჩნევთ, რომ ამრიგად, 400 ათას ოჯახს მაინც ჰქონდა შეხება სასამართლო ორგანოებთან. ამჟამად ოჯახის საშუალო სიდიდე 4 კაცს უდრის, მაშასადამე, „ნაციონალები“ ყოველმხრივ ცდილობდნენ, 1 600 ათასი კაცი, ფაქტობრივად, თავისი შეხედულების მიხედვით ემართათ, მათ შორის, არჩევნების დროსაც. რასაც ხშირად აღწევდნენ კიდეც. ჩვენ აღარაფერს ვამბობთ ამ 400 ათასის ძმების, დების და სხვა ახლობლების შესახებ, რომლებსაც ცალკე ოჯახები აქვთ, რომელთა დაშანტაჟებასაც ასევე ხშირად ახდენდნენ ხოლმე. თავისთავად, ცხადია, რომ ამ 400 ათასი ადამიანის და მათი ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა, უმთავრესად, როგორც ციხეში მყოფთა, ისე პრობაციონერებისა, რომლებმაც ათეულ ათასობით ლარი გადაიხადეს საპროცესო გარიგების დროს.

ამრიგად, უშუალოდ მივადექით მთავარ სათქმელს – პატიმრები და პრობაციონერები ძირითადად ახალგაზრდა ადამიანები არიან, რომელთაც, თუ შექსპირის პერიფრაზს გავაკეთებთ – მიწა უნდა გაამშვენიერონ შთამომავლობის გამრავლებით, მაგრამ მათ დიდ უმრავლესობას ამისთვის არც ეკონომიკური პირობები, არც ჯანმრთელობა და თითქმის აღარც სურვილი აქვს. ბევრი კიდევ ახალგაზრდობის წლებს თავისი მიზეზით თუ უმიზეზოდ ციხეში ატარებს, შერყეულია მათი და მათი ოჯახის წევრთა ფსიქიკური მდგომარეობა ისე, როგორც 300 ათასი დევნილისა. ასე რომ, ერი არა მარტო გამრავლების, არამედ ფსიქიკური პრობლემების წინაშეც დგას. ამაში ნათლად ვრწმუნდებით იმ უტყუარი ფაქტებით, რაც ჩვენს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაღებული კადრებით ვნახეთ.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ ისიც უნდა ვთქვათ, რომ პატიმრებს, რეჟიმის პატიმრების გარდა, რომლებიც დაუყოვნებლივ გათავისუფლებას იმსახურებენ, ციხეებში არაადამიანური წამების გამოც უნდა შეუმცირდეთ პატიმრობის ვადა. ამას ისინი იმსახურებენ. პრეზიდენტი კი იმის მაგივრად, რომ დაფიქრდეს, რაც მოხდა, იუსტიციის სახლს ხსნის და შეტევაზე აქეთ გადმოდის, ახლა მაინც მას ასაკრიჭინებელი არაფერი აქვს. ასე რომ, სრული საფუძველი გვაქვს აღვნიშნოთ: „ნაცების“ წასვლა სრულებითაც არ იქნება ნაციონალური დანაკარგი. სხვაგვარად საქართველოს გადარჩენა არ უწერია.



**ანზორ თოთაძე,**
პროფესორი,
დემოგრაფი

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

**საქართველოში ვიდეორგოლთან დაკავშირებული სკანდალი ციხეებში წამების შესახებ საარჩევნო კამპანიის საკვანძო თემად იქცა. იმის შესახებ, თუ რა გავლენას იქონიებს არჩევნების შედეგები და რა აქვს განზრახული ხელისუფლებას სიტუაციის შესაცვლელად ქვეყანაში, ჩვენს სპეციალურ კორესპონდენტს ოლგა ალიონოვას უამბო საქართველოს ახალმა სასჯელაღსრულების მინისტრმა, ყოფილმა ომბუდსმენმა გიორგი ტუღუშმა.**

**— მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა სკანდალური ვიდეორგოლები ციხეებში პატიმრების წამების შესახებ, საქართველოს პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ ეს იყო სისტემის შეცდომა. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გაისმა სწორედ ეს სიტყვა „სისტემა“. ესე იგი ქვეყნის ხელმძღვანელობამ აღიარა, რომ პატიმართა წამება გამონაკლისი არ არის, ხოლო სისტემა კი...**

— არა ვფიქრობ, რომ ხალხის გაუპატიურება სისტემური იყო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი შემთხვევები გაცილებით მეტია, ვიდრე ჩვენ ვიდეოზე ვიხილეთ. პრობლემა ის არის, რომ სისტემა არ აღმოფხვრიდა შეცდომებს, არამედ ფარავდა მათ. მეც ამის შესახებ ვსაუბრობ. მე სამი წელი ვიმუშავე ომბუდსმენად. ვაწყობდი პენიტენციარული სისტემის ყველა დაწესებულების მონიტორინგს, ვიცოდი, რომ ციხეებში სცემენ პატიმრებს, და ყოველ ჩემს მოხსენებაში საუბარი იყო არაადამიანურ დამოკიდებულებაზე პატიმრებთან. საერთოდ, სახალხო დამცველის აპარატი ეროვნული პრევენტული მექანიზმია, მაგრამ ყოველთვის როდი უსმენდნენ ჩემს მოხსენებებს. ნაწილობრივ ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ცოტა იყო ფაქტები: პატიმრები ხშირად საუბრობენ ცემის შესახებ სხვებთან დაკავშირებით, მაგრამ ყოველთვის არ ადასტურებენ პირადად მისდამი დამოკიდებულების შესახებ — ეშინიათ. მე უკვე ვლაპარაკობდი იმის შესახებ, რომ სექსუალური ძალადობის შემთხვევების შესახებ საერთოდ არ საუბრობენ, ვინაიდან ახლობლებისა და ნათესავების წინაშეც კი ამისი აღიარება სამარცხვინოა, საშინელებაა, მძიმეა.

**— თქვენს მოხსენებებში იყო თუნდაც ერთი ასეთ ფაქტი?**

— არა, სექსუალური ძალადობის შემთხვევების შესახებ ჩემთვის არაფერი იყო ცნობილი. ხმები კი იყო, მაგრამ მათი შემოწმება შეუძლებელი იყო.

**— თქვენ შეგეძლოთ მისულიყავით ციხეში ღამით, როგორც ამას ახლა აკეთებთ?**

— დიახ, და მე ამას რეგულარულად ვაკეთებდი. მაგრამ როდესაც მოდის ომბუდსმენი, ამის შესახებ რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე იცის ციხის მთელმა პერსონალმა. ვინმეს საქმეზე წასწრება ძნელია, თუმცა ზოგჯერ ეს გვეხმარება, რომ რაღაცა დავინახოთ. მე, მაგალითად, რეგულარულად ვიტყობინებოდი ჩემს მოხსენებებში ისეთი დამცირებების შესახებ, როგორიცაა გამოდევნება — ეს ხდება, როდესაც მოჰყავთ ახალი პატიმრები და მათ სდევნიან წრის გარშემო მეთვალყურეთა წინაშე, ისინი კი მათ სცემენ. ერთ-ერთ ასეთ რგოლზე დაფიქსირებულია სწორედ ასეთი ცემა.

**— თუ თქვენ ამის შესახებ იტყობინებოდით მოხსენებაში, ხელისუფლება რატომ არ ახდენდა მასზე რეაგირებას?**

— ჩვენთან ხელისუფლების მთელი ყურადღება გამახვილებულია პოლიციის რეფორმაზე. ეს იყო წარმატებული რეფორმა, იგი ყოველთვის იყო პრიორიტეტული, ვინაიდან მასზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული — ეკონომიკაც, ინვესტიციებიც, უსაფრთხოებაც, პენიტენციარული სისტემის რეფორმა კი ყოველთვის ჩრდილში რჩებოდა. ჩვენთან ადრე ისეთი ფაქტები, როგორიცაა წამება და ძალადობა, იყო პოლიციაში. ხოლო, როდესაც იქ მოახდინეს რეფორმირება და პოლიცია გახადეს სანიმუშო, ყველა ეს ნეგატიური მოვლენა ციხეებში გადაბარგდა. პოლიციის ზოგიერთი გათავისუფლებული თანამშრომელი მოვიდა ზედამხედველად და მათ თან მოიტანეს ძალადობის ეს მავნე პრაქტიკაც.

ამას გარდა, ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს მიაჩნდა, რომ ჩემს მოხსენებებში ყველა ფაქტი არ არის დადასტურებული. ყოველივე ამის დადასტურება, მართლაც, რთული იყო, და მეც ზოგჯერ ნაციონალური მოძრაობის დეპუტატები მეუბნებოდნენ: „რას გვერჩი, მუდამ რომ თავს გვესხმი, სად არის დადასტურება?“

**— ახლა დადასტურება ცხადია...**

— დიახ, სამწუხაროდ. ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება, თავიანთი ადგილები დატოვა ორმა მინისტრმა, დააპატიმრეს ციხის თანამშრომლები, და დარწმუნებული ვარ, რომ გამოძიების დროს გაიხსნება ახალი ფაქტები, ასე რომ, პატიმრებისადმი მკაცრი დამოკიდებულების ფაქტებთან დაკავშირებით დაპატიმრებულთა რაოდენობა გაიზრდება.

**— ამ სკანდალურ ვიდეოკადრებზე მოჩანს, რომ პატიმრებს სცემენ და მათზე ძალადობას**

### სისტემა კი არ აღმოფხვრიდა შეცდომებს, არამედ მალავდა მათ



**იყენებენ. ეს პატიმრები კანონიერი ქურდები არიან?**

— მე არ ვიცი, თუ აქვს ამ ხალხს კანონიერი ქურდების სტატუსი, მაგრამ ესენი არიან ადამიანები კრიმინალური წარსულით.

**— მაშ, რატომ გამოჩნდა უმალვე ინფორმაცია, რომ ეს კანონიერი ქურდები ყოველთვის ასე ექცევიან მათ?**

— იმიტომ, რომ ყველა კადრზე ამ პატიმრებს ეკითხებიან: „შენ კანონიერი ქურდი ხარ? შენ გინდა იყო კანონიერი ქურდი?“

**— რისთვის აკეთებდნენ ამას?**

— მიჭირს იმის თქმა, თუ რა აქვთ ამ ხალხს თავში. ნორმალური ადამიანისთვის ყოველივე ამის გაგება მეტად რთულია.

**— ამბობენ, რომ ასეთი მეთოდებით ხელისუფლება ამხობს ქურდულ მენტალიტეტს. და კიდევ, ხელისუფლების მომხრეები ამბობენ, რომ, თუ არ იქნება მკაცრი მეთოდები, მაშინ საქართველოში ქურდებთან ვერაფერს მოვახერხებთ. თქვენ როგორ მიგაჩნიათ, მიზანი ამართლებს საშუალებებს?**

— ვინ ამბობს ამას? ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ „ამართლებენ“ ასეთი მეთოდები. და არ მიმაჩნია, რომ ქურდული მენტალობა შეიძლება დავამხოთ მხოლოდ სექსუალური ძალადობით. ეს შუასაუკუნეობრივი მეთოდებია, ცივილიზებული სამყარო დიდი ხანია, ასე აღარ ცხოვრობს, და ასეთი მეთოდები საქართველოს საუკუნეებით უკან მოისვრის. მიმაჩნია, რომ ქურდებთან შეიძლება ბრძოლა — და ხელისუფლება ამას წარმატებით აკეთებდა, უბრალოდ, მას უკეთებდა იზოლირებას საზოგადოებისგან. ახლა ყველა კანონიერი ქურდი ერთ ციხეშია, ისინი იზოლირებული არიან, მათ არ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ კრიმინალურ სამყაროზე, არც საზოგადოებაზე. და ეს ეფექტიანი მეთოდია. ძალადობა კი — ეს არის გზა არსად.

**— საზოგადოება აღშფოთებულია, ყოველდღე თბილისში მიმდინარეობს საპროტესტო აქციები. საქართველოს იმიჯს აუნაზღაურებელი ზარალი მიადგა...**

— საქართველოს მთელი მოსახლეობა აღშფოთებული იყო ნანახით. მე ვიცი ხალხი, ვინც მთელი ღამის განმავლობაში უყურებდა ამ რგოლებს კვლავ და კვლავ: მათ არ შეეძლოთ დაეჯერებინათ, რომ ეს ყოველივე რეალობაა...

**— ხელისუფლება გაუძლებს ამ დარტყმას?**

— მიმაჩნია და ხალხმაც დაინახა უკვე, რომ მიღებულია ადეკვატური ზომები, თანამდებობიდან გაათავისუფლეს მინისტრები, გაათავისუფლეს ბევრი ადამიანი. შეიქმნება კომისია ციხეებში სამართალდამცველებისადმი ზედამხედველობის მიზნით. უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში ჩვენ შევძელით უზრუნველგვეყო 2 ათასზე მეტი პატიმრის შეხვედრა ნათესავებთან. ეს იყო აუცილებელი, რათა დაგვემშვიდებინა ხალხი: ქართველი დედები, სანამ ხელით არ შეეხებიან თავიანთ შვილებს, ვერ დამშვიდდებიან, ვერ დაიჯერებენ, რომ ისინი ნორმალურად არიან.

**— გამოდის, რომ, თქვენ ფიქრობთ, ხალხი დამშვიდდა?**

— დიახ, მიმაჩნია, რომ ჩვენი მოქალაქეების უმრავლესობა დამშვიდდა. უკანასკნელ დღეებში ციხეებში მართლაც ძირეულად შეიცვალა სიტუაცია. იქ იყვნენ სამართალდამცველები, ჟურნალისტები, პატიმართა ნათესავები. ესე იგი, სისტემა გაიხსნა, გახდა უფრო გამჭვირვალე. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ეს ეფექტი ახლა განვამტკიცოთ.

**— მიტინგები რომ მიმდინარეობს ქუჩებში?**

— ეს — პროტესტს აცხადებს ხალხის აქტიური ნაწილი, მათ ამისი უფლება აქვთ.

**— ვინ შემოგთავაზათ გამხდარიყავით მინისტრი?**

— მე ეს საქართველოს პრეზიდენტმა შემომთავაზა. მე არც ვვარაუდობდი, როდესაც მასთან შეხვედრაზე მივდიოდი, რომ იგი ასეთ წინადადებას მომცემდა. თუ პატიოსნად ვიტყვი, დავიბენი კიდეც. მე ომბუდსმენად მუშაობისთვის კიდევ ორი წელი მრჩებოდა, ვარ წამების თავიდან აცილების ორი ევროპული კომიტეტის წევრი, მქონდა ჩემი პროექტები, მაქვს ომბუდსმენის შესანიშნავი ოფისი, შესანიშნავი ურთიერთობა კოლექტივთან. ყველაფრის ნულიდან დაწყება რთულია. მთელი ჩემი ცხოვრება პატიოსნად ვმუშაობდი. ამიტომ, როდესაც პრეზიდენტმა შემომთავაზა სათავეში ჩავდგომოდი სამინისტროს, უარი ვუთხარი, მაგრამ მან თქვა, რომ ეს ძალიან სჭირდება სახელმწიფოს. ვუთხარი, რომ უნდა მოვეთათბირო მეუღლეს და პასუხს მოგვიანებით ვაცნობებ. მან მიპასუხა: „გაუგზავნე ცოლს ესემესი. ჩვენ ყოველი წუთი ანგარიშზე გვაქვს აყვანილი“. სანამ ცოლთან მიმოწერა მქონდა, ვიფიქრე: მე ხომ მთელი ამ წლების განმავლობაში ვსაუბრობდი ჩავარდნებსა და შეცდომებზე, ადამიანთა უფლებების დარღვევებზე ციხეებში. ახლა მიჩნდება რეალური შესაძლებლობა გამოვასწორო ეს. მე ეს უნდა ვცადო. და დავთანხმდი.

**— სანამ მეუღლესთან გქონდათ მიმოწერა, პრეზიდენტი თქვენს გვერდით იყო?**

— დიახ, ის დადიოდა კაბინეტში, და საუბრობდა ტელეფონით.

**— ოპოზიციის ზოგიერთ წარმომადგენელს მიაჩნია, რომ თქვენ არ უნდა დათანხმებულიყავით. და თქვენ თქვენი თანხმობით სისტემა გადაარჩინეთ?**

— ეს იყო რთული არჩევანი. მაგრამ, ვფიქრობ, ადამიანი უნდა შეეცადოს, რომ რაიმე შეცვალოს და არა მხოლოდ იჯდეს და აკრიტიკებდეს. მე ვიცი, რომ ყოფილი ომბუდსმენი ახლა მაკრიტიკებს, მაგრამ, როდესაც ის შევცვალე, ომბუდსმენის ოფისი ოპოზიციურ-პოლიტიკურ პარტიას მოგვაგონებდა. მიმაჩნია, რომ პოლიტიკისა და ადამიანის უფლებათა ერთმანეთში არევა არ შეიძლება. ადამიანის უფლებები პირველხარისხოვანია პოლიტიკისგან დამოუკიდებლად...

Коммерсантъ

## დედამიწის ზურგზე




**ესპანელმა ჟურნალისტებმა მხარი დაუჭირეს ფრანგებს, გამოაქვეყნეს წინასწარმეტყველის კარიკატურა: „როგორ გამოიყურება მუჰამედი?“**

**ნახატზე, რომელიც ესპანეთის სატირულ ჟურნალში გამოქვეყნდა, წარმოსახულია პოლიციაში დამნაშავეთა ამოცნობის პროცედურა. რედაქციაში განმარტეს, რომ ასე სურდათ დაეჭირათ მხარი ფრანგი კოლეგებისთვის, რომლებსაც მუსლიმანები ანგარიშსწორებით ემუქრებიან. „ჟურნალისტებს არ აქვთ უფლება მიმართონ თვით ცენზურას საფრთხის წინაშე“, — განმარტეს რედკოლეგიაში.**

* * *

**13 წლის ამერიკელმა ბიჭუნამ სუპერბოროტმოქმედის კოსტიუმებში, კომიქსებიდან, თავი მოიკლა მთელი სკოლის თვალწინ**

**თუ რა გახდა საბავშვო სუიციდის მიზეზი, სამართალდამცველებმა ჯერჯერობით ვერ ახსნეს: ბიჭს სიკვდილის წინ წერილი არ დაუტოვებია, მასწავლებლები კი ამტკიცებენ, რომ პრობლემები ბავშვს არ ჰქონია. თუმცა, კეიდ პაულოსის თანაკლასელები მიიჩნევენ, რომ ასეთი ნაბიჯისკენ მას უბიძგა დაცინვამ სკოლაში.**

* * *



**გაეროს გენერალური ასამბლეა: ბრიტანელმა ლიდერმა გალანძღა რუსეთი, კლინტონი კი წავიდა ლავროვის სიტყვის წინ**

**გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე ამერიკის შეერთებული შტატები ტრადიციულად მოუწოდებდა სირიის პრეზიდენტს ბაშარ ასადს გადადგეს ნებაყოფლობით, საფრანგეთმა მოითხოვა დაეცვათ მეამბოხეები, რუსეთმა კი, რომელიც იცავდა თავის უცვლელ პოზიციას, გაგვაფრთხილა სხვა სახელმწიფოს საქმეებში ჩარევის საფრთხის შესახებ.**

* * *

**ობამას თვითმფრინავი ვერ დაჯდა ოჰაიოში, ის მოხვდა ძლიერ ტურბოლენტში**

**მიუხედავად ბუნებრივი პირობებისა — წვიმა და ძლიერი ქარი — თვითმფრინავი უკვე გავიდა ასაფრენ-დასაფრენ ზოლზე, როდესაც მფრინავმა მიიღო მოულოდნელი გადაწყვეტილება კვლავ აფრენილიყო ცაში და გაეკეთებინა დამატებითი წრე აეროპორტის თავზე მანამ, სანამ გაიმეორებდა მცდელობას დაესვა საჰაერო ხომალდი.**



◉ აქტუალური ინტერვიუ

**პატიმრების წამების ამსახველი ცნობილი კადრების გავრცელების შემდეგ ქვეყანაში დიდი საპროტესტო ტალღა აგორდა და დროის გასვლასთან ერთად, პროტესტი არათუ ცხრება, არამედ უფრო მწვავდება. უკანასკნელი დღეების განმავლობაში არაერთმა საჯარო მოხელემ თანამდებობა დატოვა და „ქართული ოცნების“ მიმართ მხარდაჭერა გამოხატა. პროტესტის ნიშნად რამდენიმე ადამიანმა „ნაციონალური მოძრაობაც“ დატოვა და ეს ყველაფერი სტუდენტების მასობრივი აქციების ფონზე მიმდინარეობს.**

**ამის საპასუხოდ, ხელისუფლება ბოლო სამი-ოთხი დღის განმავლობაში შეთითხნილი ბრალდებებით მასობრივად აკავებს „ქართული ოცნების“ აქტივისტებს. ასევე აღირიცხა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ზოგ კოალიციის მხარდამჭერს სახლში მიუვარდნენ, ზოგს ქუჩაში დახვდნენ და ფიზიკურად გაუსწორდნენ. ამის პარალელურად კი შინაგან საქმეთა სამინისტრო ვიდეომასალას ავრცელებს, რომლის თანახმადაც,**



**თითქოს „ქართული ოცნების“ წევრები პოლიციის თანამშრომლების მოსყიდვას ცდილობენ. კოალიციის წევრებმა ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინათ განაცხადეს, რომ ამგვარი მოვლენები მოსალოდნელი იყო და ახლაც ამბობენ, რომ ამგვარ მასალებს ხელისუფლება არჩევნებამდე დარჩენილ ორიოდ დღეში კიდევ შემოგვთავაზებს.**

**ქართული საზოგადოება არაერთხელ გამხდარა ხელისუფლების მიერ ასეთი ფილმების ჩვენების მომსწრე და მმართველი გუნდის ამ ხრიკების უკვე აღარავის სჯერა. ამიტომ ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, კიდევ რას მოიმოქმედებს ხელისუფლება წინასაარჩევნოდ და რეალურად აქვს თუ არა მას რესურსი, რომ ვინმე თავის სიმართლეში დაარწმუნოს, თუ უბრალოდ უკან დასახევი გზა არ აქვს და კუთხეში მიმწყვდეული გაუაზრებელ ქმედებებს სჩადის?**

**ამ კითხვებზე for.ge-ს პოლიტიკური ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი უპასუხებს.**

# „ორი ოქტომბრისთვის თვითმფრინავის ბილეთები სულ გაყიდულია“



— „პრაქტიკულად, ჩვენ ნაციონალურ-სადისტური მოძრაობის თვითლუსტრაციის მოწმენი ვართ. ორი-სამი დღე ამბობდნენ, „ჩვენ არ ვიცოდით, ჩვენ არ გვეგონა“, და თავადვე გადავიდნენ იმ მდგომარეობაზე, როდესაც ანგარიში არის ბევრით ნული „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ. უკვე აღარ დარჩა საქართველოსთან რაიმე ურთიერთობის მქონე დიპლომატი, პოლიტიკოსი თუ ჟურნალისტი, რომელიც იტყვის, რომ ამას ნაციონალ-სადისტები არ იკადრებდნენ. ფაქტია, რომ კადრულობენ და როგორი ვერაგი მეთოდებითაც არ უნდა წარმოჩნდეს ნაციონალურ-სადისტური მოძრაობა პირველ ოქტომბერს, არც ერთი დამკვირვებელი არ იტყვის, რომ ისინი ამას არ იკადრებდნენ.

ცხადია, რომ იქნება მძიმე დღეები და აღვირახსნილი სადიზმი. ეს პერიოდი იმავე ვიდეორგოლების სახით შევა საქართველოს ისტორიაში და შესაბამისი ეპითეტებით შეფასდება. ნათქვამია, განსაკურნებელი დროზე უნდა განიკურნოს. ჯინის, რომელიც ბოთლიდან ამოვა, ავადმყოფობის ისტორიის შედგენა მერე უკვე გვიანი იქნება. ტოტალური სიცრუე და ცილისწამება, არის ერთადერთი იარაღი, რაც ნაციონალ-სადისტებს დარჩათ, მაგრამ არის პერსპექტივა იმისა, რომ მეორე მხარე, რომელიც „ქართული ოცნების“ სახით არის წარმოდგენილი, სადისტების ნაცვლად მებაღეებს გამოიყვანს და ასე დააბალანსებს სიტუაციას.

დარწმუნებული ვარ, საერთაშორისო თანამეგობრობა მიმდინარე პროცესებს ჯანსაღად შეაფასებს და მოწმენი გავხდებით ერთიანი პოზიციისა ნაციონალ-სადისტების მიმართ, გამოხატულს ფრაზით, — რაც არ გერგება, არ შეგერგება.

**— გარდა იმ ვიდეოჩანაწერებისა და ფილმებისა, ასევე, გარდა ოპოზიციის აქტივისტების დაკავებისა, სადამდე შეიძლება მივიდეს ხელისუფლება თავის თავხედურ ქმედებებში?**

— მათ აქვთ უკანასკნელი დღეები, როდესაც უფრო მაღალი მიზნის მისაღწევად გამოყენებული ასეთი ვერაგული ქმედება უპასუხოდ რჩება. ნათქვამია, სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო. ასე რომ, გავეცალოთ კიდევ ორიოდ დღე, ხელისუფლებამ კიდევ არაერთ ასეთ ვერაგულ ქმედებას ჩაიდენს და პირველი ოქტომბრის შემდეგ, როდესაც ძალადობის პირობებში ჩატარებული არჩევნები არ იქნება აღიარებული არც ქართული და არც საერთაშორისო საზოგადოების მიერ, იზოლირებული ხელისუფლება თავად დაიწყებს ერთმანეთის ჭამას. მათში შიში იმდენად დიდია, რომ ორი ოქტომბრისთვის თვითმფრინავის ბილეთებს უკვე კარგა ხანია, ვერ იშოვით. შეგიძლიათ თავად ნახოთ გაყიდული ბილეთების სიები „ლუფთანზაზე“, „თურქეთის ავიახაზებზე“, იტალიის და პოლონეთის ავიახაზებზე და ა.შ. განსაკუთრებით დიდი დატვირთვაა უკრაინის მიმართულებით. დარწმუნებული ვარ, „მეოცნებე“ ადამიანების ოცნება არ არის, რომ 2 ოქტომბერს თავს უშველონ. ამიტომ, ამ ბაქიბუქში და სიცრუის მორევში საკუთარი თავის ჩათრევით დაკავებულ პოლიტიკურ ძალაში, არ არის სიმყარე იმ აზრისა, რომ გაიმარჯვებენ, მიუხედავად ყველანაირი უმსგავსობის მომზადებისა.

რაც უფრო ვუახლოვდებით პირველ ოქტომბერს, მით უფრო ნაკლები კითხვა ჩნდება, თუ ვინ ვინ არის. ამიტომ, ჯობს, ორ ოქტომბერს ამ ქვეყანაში აღარ დარჩეს კითხვა, ვინ რისი მაქნისია, ვის რა უდევს გულში და ვინ რისი მკადრებელია. ეს სწორედ ის შემთხვევა იქნება, როდესაც თეთრი და შავი კარგად გამოჩნდება.

**— ბატონო სოსო, ბოლო დღეებში მიხეილ სააკაშვილი მოსახლეობასთან შეხვედრებს მართავს და აღფრთოვანებით აღნიშნავს, რომ ამ შეხვედრებზე უამრავი ადამიანი მიდის. როგორ ფიქრობთ, რეალურად ხელისუფლებას კიდევ აქვს იმის რესურსი, რომ სიტუაცია სათავისოდ შეატრიალოს, თუ მათ უბრალოდ უკან დასახევი გზა არ აქვთ და იძულებულები არიან, ასეთი რაღაცებით თავი მოიტყუონ?**

— უკვე მრავალი წელია, შევეჩვიეთ, რომ კარნავალებს, ფესტივალებს და კონცერტებს ხელისუფლება მხოლოდ და მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის გასართობად აწყობს. ცხადია, ახლა პრეზიდენტის აღგზნების კოეფიციენტი წინა წლებთან შედარებით გაცილებით მაღალია. ამიტომ, მისი გარემოცვის შიში არის ის, რაც კრებს ამ ხალხს, ზოგს მუქარით, ზოგს დაპირებებით, ზოგს ხვეწნა-მუდარით, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთ აქციაზე მისვლა და პირველ ოქტომბერს ხმის მიცემა სხვადასხვა მსოფლმხედველობის და ღირებულების გამოვლენასთან იქნება დაკავშირებული.

**— პრეზიდენტმა სააკაშვილმა გურჯაანში სიტყვით გამოსვლისას ოპოზიციურ პარტიებს მთავარ პრინციპებზე შეთანხმება კიდევ ერთხელ შესთავაზა. მან განაცხადა, რომ ქუჩაში კრიმინალი აღარ ხდება და ოპოზიციას მოუწოდა, „მოდით, მთავარ თემებზე შევთანხმდეთ და ნუ ვცდილობთ ისეთი თემებით თამაშს, რომლებიც ხვალ და ზეგ უკან მოგვიბრუნდება“ და აღნიშნა, ვინც ამას არ დაეთანხმება, თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდებაო. თქვენი აზრით, რას ნიშნავს მისი ეს განცხადება?**

— ეს მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავს. კერძოდ, რომ ჩვენმა პრეზიდენტმა დემაგოგიის კლასი კიდევ უფრო აიმაღლა. აგვიხსნას ბატონმა სააკაშვილმა, რას ნიშნავს, როდესაც ადამიანს თვალებში მჟავას ასხამენ და საპატრულო პოლიციის არც ერთი მანქანა გამოძახებაზე არ მოდის? ასევე რას ნიშნავს, როდესაც ერთი ჯგუფი მეორეს თავს ესხმის, ნაცემებს იჭერენ, ხოლო თავდამსხმელების ვინაობას არც კი კითხულობენ? ჯერ ამ კითხვებზე გაგვცეს პასუხი, ხოლო შემდეგ ეს იაფფასიანი დემაგოგია გაავრცელოს ყველა იმ სტრუქტურაში, რომელსაც საკუთრად თვლის.

**— დაბოლოს, ბატონო სოსო, ხელისუფლება მუდმივად გვესაუბრება რუსეთის საფრთხეზე, მის სამხედრო წვრთნებზე, ციხეში მომხდარ მოვლენებზე საუბრის დროსაც აცხადებს, რომ ეს ყველაფერი ქვეყნის გარეთ დაიგეგმა და ა.შ. როგორ ფიქრობთ, შეიძლება, რომ არჩევნებამდე პერიოდში ხელისუფლებამ ამ მხრივ რაიმე პროვოკაცია მოაწყოს?**

— რუსეთს, ჩვენი ხელისუფლებისგან განსხვავებით, საკუთარი ქვეყნის მასშტაბებიც და შესაძლებლობებიც კარგად ახსოვს და აღარ მოისურვებს, რომ რაიმე მიზეზით საერთაშორისო საზოგადოების გაკიცხვის საგანი გახდეს. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ კიდევ უფრო მეტი საერთაშორისო ორგანიზაცია და პოლიტიკოსი უცხოეთში დაარწმუნა იმაში, რომ ნაციონალ-სადისტების მმართველობაში ადეკვატურობა მიუღწეველი ფუფუნებაა. ამიტომ, რაც არ უნდა გეგმოს, იმაზე უკეთეს შედეგს ვერ მიაღწევს, რაც ლოპოტის ხეობაში ჩატარებული გაუგებარი ქმედებების შემდეგ მიიღო. ისინი რაღაცას იწყებენ, თვითონვე არ იციან, როგორ უნდა დაამთავრონ ეს ამბავი და არ თაკილობენ, როდესაც იდიოტურ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ხოლმე. ამიტომ, ხალხი კი ნუ ჰგონიათ ჭკუასუსტი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი გონებრივი შესაძლებლობები შეაფასონ, ვიდრე უსუსური სიცრუის გავრცელებით დაკავდებოდეს ჩვენი ნაციონალ-სადისტური ბანდა.

**რუსიკო უშიკიშვილი**

◉ ინფორმაცია



# „ლაგუნა ვერესთან“ მდებარე ახალი ესტაკადა გაიხსნა

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ დედაქალაქის მერიიდან აცნობეს, ესტაკადის საშუალებით, სატრანსპორტო ნაკადებს შესაძლებლობა აქვთ გმირთა მოედნიდან მოძრაობა მარჯვენა სანაპიროზე დიღმის მიმართულებით გააგრძელონ. გმირთა მოედნის ესტაკადის სიგრძე 363 მეტრია.**

**— თბილისის მერიის ინიციატივით, ქალაქში მოძრაობის განტვირთვის მიზნით, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მთელ სიგრძეზე, ხუთ ადგილას, პანდუსები, ხიდები, გვირაბები და ესტაკადები აშენდა. პროექტის განხორციელებით, მარჯვენა სანაპიროზე არსებული ყველა პრობლემური სატრანსპორტო კვანძი გაიხსნა, აღნიშნულ პერიმეტრზე გაუქმდა შუქნიშნები და სატრანსპორტო საშუალებები შეუფერხებლად გადაადგილდებიან, — აცხადებენ მერიაში.**

**ამასთან, მათივე ცნობით, მარჯვენა სანაპიროზე უკვე დასრულდა ესტაკადების მშენებლობა: ბარათაშვილის ხიდთან, კოსტავას ქუჩაზე, ლაგუნა ვერესთან, რომელიც სანაპიროსა და გმირთა მოედანს ერთმანეთთან აკავშირებს, ასევე გალაკტიონის ხიდთან გვირაბისა და პანდუსების მშენებლობა.**

ამოდის, ნათდება!

# ღირსების ძახილით



**საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების წევრი რატი ურუშაძე, მისი მამის ინფორმაციის შესაბამისად, უარს ამბობს ღირსების ორდენზეო, — გვაუწყეს გუშინ ოპოზიციურმა ტელეარხებმა.**

ამ აწეწილ-დაწეწილ ქვეყანაში საზოგადოების ღირსეულ წარმომადგენელთაგან ბევრს რომ არ უჩნდება ნაციონალ ხელისუფალთა აღვირახსნილობის გამო პროტესტის ანალოგიურად გამოხატვის სურვილი, ან თუ უჩნდება, ვერ ბედავს, ის უფრო გასაკვირია, თორემ სპორტულ სამყაროშიც კი ვაჟკაცური სულისკვეთებითა და ეროვნული მრწამსით გამორჩეული სარაგბო თემის მკვიდრისგან გულის ძახილით გადადგმული ნაბიჯი ნამდვილად არაა გასაოცარი.

ხომ გაგიგონიათ, კარგი მაგალითი (სხვათა შორის, ისევე, როგორც საპირისპირო ხასიათისძ გადამდებიაო. ეტყობა, გვიან, მაგრამ სხვა სახეობათა წარმომადგენლებიც ეზმებიან ვარდ-ყვავილოვანთა კოშმარის წინააღმდეგ მიმდინარე უშელავათო ბრძოლაში, რასაც სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიმდებარე ტერიტორიიდან დაწყებული და დედაქალაქის ცენტრში დასრულებული საპროტესტო მსვლელობა მოწმობს. აღნიშნულ აქციაში მორაგბეებთან ერთად ფეხბურთელები და მოჭიდავეებიც მონაწილეობდნენ.

ვიმედოვნებთ, გაგრძელება იქნება.

**გია პლატონიშვილი**



**მინაწერი: ზემოთ კი ვთქვით, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო, მაგრამ სინანულით მაინც უნდა დავძინოთ: სად იყვნენ სპორტული ოჯახის წევრები მაშინ, როცა ნაცშპანა დაუნდობლად ბღალავდა არა მარტო სხვაგვარად მოაზროვნეთა (გაიხსენეთ ვითომცდა ქურდულ სამყაროსთან დაკავშირებული გიორგი დემეტრაძის „გაციმბირება“, რომელიც დღემდე იხდის დაუმსახურებელ სასჯელს), არამედ თვით მათივე თანაგუნდელის გიორგი ნემსაძის პიროვნულ და ადამიანურ ღირსებას, რომელსაც უპრეცედენტო მასკარადი მოუწყვეს და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობაზე „ნებაყოფლობით“ ათქმევინეს უარი.**

**ეჰ, სათქმელი კიდევ ბევრია, მაგრამ...**

**მთავარია, ყოველივე ამას აწი მაინც დაესვას წერტილი. მით უმეტეს, ამის საფუძველი ნამდვილად გვაქვს, რადგან ბნელეთის დამანგრეველი იმედის სხივი ამოდის, ნათდება.**

**გ. პ.**

ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური

**XXIV ეროვნული ჩემპიონატის VII ტურის შემდეგ ერთადერთი მოუგებელი გუნდი ფოთის „კოლხეთია“, თუმცა ფაზისელებმა გათამაშების ერთ-ერთი ლიდერის — ქუთაისის „ტორპედოს“ შეფერხებით — 1:1 აქტივში ძვირფასი ქულა ჩაიწერეს.**

სატურნირო ცხრილში ერთპიროვნულად დაწინაურების შანსი ვერ გამოიყენა თბილისის „დინამომ“, რომელიც ივანწმინდაში სახჩერის „ჩიხურას“ ეთამაშა — 0:0.

უკვე გაუწყეთ, რომ ქობულეთში გახსნილი რევაზ ჩელებაძის სახელობის ახალი სტადიონი ამიერიდან როგორც ადგილობრივ, ისე აჭარის რეგიონის სხვა კლუბების საშინაო შეხვედრებს უმასპინძლებს იმ დრომდე, ვიდრე მათი საკუთარი სარბიელები არ ჩადგება მწყობრში. ზღვისპირელთა პირველი ოფიციალური მატჩის გამართვის პატივი „ბათუმს“ ხვდა წილად. სიმბოლურია, რომ ეს ფაქტი უმაღლეს ლიგაში წლეულს დაბრუნებულმა ახლო წარსულში ქვეყნის ერთ-ერთმა უძლიერესმა გუნდმა მარტვილის „მერანთან“ მოპოვებული შთამბეჭდავი გამარჯვებით აღნიშნა — 4:0.

**დანარჩენი შედეგები:** „დილა“ — „მეტალურგი“ 3:0, „სიონი“ — „ბაია“ 0:0, „ვიტ ჯორჯია“ — „ზესტაფონი“ 1:2.

**სატურნირო მდგომარეობა:** „ტორპედო“, „დინამო“ — 16-16, „ჩიხურა“ — 13, „მეტალურგი“ — 12, „დილა“, „ზესტაფონი“, „ბაია“ — 10-10, „მერანი“ — 9, „სიონი“ — 7, „ბათუმი“, „ვიტ ჯორჯია“ — 5-5, „კოლხეთი“ — 3 ქულა.

* * *

**იტალია. „მილანი“ — „კალიარი“ 2:0, „რომა“ — „სამპდორია“ 1:1, „ნაპოლი“ — „ლაციო“ 3:0, „კიევო“ — „ინტერი“ 0:2.**



**ინგლისის თასი. „მანჩესტერი“ — „ნიუკასლი“ 2:1, „არსენალი“ — „კოვენტრი“ 6:1, „კარლაისლი“ — „ტოტენჰემი“ 0:3.**

**გიორგი შოთაძე**

წყალბურთი

# ევროლიგის პირველი შედეგები

**ევროპის აუზებში დაიწყო წყალბურთელ ვაჟთა ევროლიგის გათამაშება, რომელშიც 22 კლუბია ჩართული. უკვე გაუწყეთ, რომ საქართველოს ჩემპიონი „ლიგამუსი-თბილისი“ ვიზების მოუგვარებლობის გამო უნგრეთში „ეგერთან“ სათამაშოდ ვერ გაემგზავრა. ასპარეზობის პირველ დღეს, ასევე, არ უთამაშიათ A ჯგუფის წარმომადგენლებს — ჰოლანდიის „შუურმანსა“ და გერმანიის „ვასპო-98“-ს. ეს შეხვედრები მოგვიანებით გაიმართება. საბერძნეთის ოთხგზის ჩემპიონმა და სამგზის თასის მფლობელმა „ვოულიაგმენმა“ შინ ასევე ტიტულოვანი ვოლგოგრადის „სპარტაკი“ დაამარცხა — 8:5.**

**გაცნობებთ დანარჩენ ჯგუფებში გამართულ შეხვედრათა ანგარიშებს:**

**B ჯგუფი.** „ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთიძ — „კრეუზლინგერი“ (შვეიცარიაძ 15:5, „ცრვენა ზვეზდა“ (ბელგრადიძ — „დუბროვნიკი“ (ხორვატეთიძ 6:10.

**C ჯგუფი.** „ბრეშია“ (იტალიაძ — „ვოივოდინა“ (ნოვი სადიძ 13:9. „ბარსელონეტა“ (ესპანეთიძ — „სინთეზი“ (ყაზანიძ 10:7.

**D ჯგუფი.** „ბეტონი“ (უნგრეთიძ — „შპანდაუ-04“ (გერმანიაძ 8:5, „პარტიზანი“ (ბელგრადიძ — „გალათასარაი“ (თურქეთიძ 5:5.

შეგახსენებთ, რომ მერვედფინალში თითოეული ჯგუფიდან 4-4 გუნდი გადის.

**ლექსო ცინცაძე**



მარადიული თემა

# ხელოვნებასთან წილნაყარი



**ვის არ ახსოვს „მუნდიალ-2006“-ის ფინალური მატჩის ის სკანდალური ეპიზოდი, როცა ზინედინ ზიდანმა უძლიერესი თაური დარტყმით ნოკდაუნში გაგზავნა მარკო მატერაცი, ფრანგები უმცირესობაში დატოვა და იტალიელთა ტრიუმფის უნებლიე თანამონაწილე გახდა.**

ლეგენდარულმა „სამფეროვანმა“ ასეთი საქციელი და კარიერის უსახური დასასრული მეტოქის მხრიდან მთელი 80 წუთის განმავლობაში სისტემატურად მიყენებული სიტყვიერი შეურაცხყოფით, უფრო კონკრეტულად — დედისა და დის „გულითადი“ მოხსენიებით ახსნა, რაც „სკუადრა აძურას“ მცველმა მოგვიანებით კატეგორიულად უარყო, ყველაფერი კი შერიგებით დაგვირგვინდა.

როგორც ირკვევა, ამ ისტორიაში წერტილის დასმა ნაადრევი ყოფილა, რადგან საქმეში შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები ჩაებნენ.

დიახ, ამ დღეებში პარიზის ჟორჟ პომპიდუს სახელობის ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის წინ უცნობი ალჟირელი მოქანდაკის ქმნილება — ხუთმეტრიანი სკულპტურული კომპოზიცია გაიხსნა, რომლის მხატვრულ ღირსებებსაც, სათანადოდ, ვიმედოვნებთ, საჭირეთლის პროფესიონალი ოსტატები შეაფასებენ.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ ქვეყნები და ადამიანები

# რამდენად რელიგიური ამერიკა?



**თავიდანვე მინდა დადებითად განვაწყოთ მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნის მკვიდრების მიმართ: ამერიკელების 90%-ზე მეტს ღმერთის სჯერა! შესაძლოა, სწორედ ეს არის ერთ-ერთი იმ გარემოებათაგანი, რომლის ხარჯზე ქვეყანა მსოფლიოს ეკონომიკურ, სამხედრო და კულტურულ ავანგარდში მოექცა.**

ჩრდილოეთ ამერიკა ეთნიკურთან ერთად რელიგიური სიჭრელითაც გამოირჩევა. აქ 80-ზე მეტი სხვადასხვა კონფესია თუ მიმდინარეობაა, ხოლო მათ შიგნით თუ დამოუკიდებლად წარმოქმნილი მრავალრიცხოვანი სექტების, რელიგიური თემებისა და ჯგუფების დათვლას ნურც შეეცდებით.

უნდა აღინიშნოს, რომ რელიგია ამერიკაში პირველ კოლონისტებთან ერთად მივიდა პურიტანიზმის მკაცრი პოსტულატებით. მე-19 საუკუნის დასაწყისში სპეციალური კანონით ეკლესია გამოეყო სახელმწიფოს, რაც ნიშნავდა პირდაპირ სახელმწიფო მხარდაჭერის შეწყვეტას. ტაძრები მატერიალური თვალსაზრისით სრულად გახდნენ დამოკიდებული მრევლზე. ამ გარემოებამ კი შექმნა ერთგვარი კონკურენცია ეკლესიებსა და კონფესიებს შორის, მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანობისა და იუდაიზმის ძირითადი დოგმები ეწინააღმდეგება ღვთისმსახურებაში კონკურენციის იდეას. მაგრამ ამერიკაში მრევლის ნდობის მოპოვებისათვის გაჩაღებულმა კონკურენტულმა ბრძოლამ არნახულად გააძლიერა ეკლესიების აქტივობა, ხოლო სასულიერო პირებს მისცა საშუალება მორწმუნეთათვის შეეთავაზებინათ ღვთისკენ მიმავალი გზების უსაზღვრო ნაირსახეობები — ჭეშმარიტი თუ ცრუ (ამას არსებითი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა).

ყველაზე მრავალრიცხოვანი აშშ-ში ქრისტიანებია, მათ შორის უმსხვილესი ბაპტისტური და კათოლიკური ეკლესიებია. 1881-1924 წლებში ამერიკაში ებრაელების დიდი მასა (3 მილიონამდე) ჩავიდა, რამაც გამოიწვია ქვეყანაში იუდაიზმის მნიშვნელოვანი გაძლიერება. როგორც ცნობილია, 1054 წელს მომხდარი საეკლესიო განხეთქილების შემდგომ, დასავლეთის რომის წმინდა საყდარი და აღმოსავლეთის მართლმადიდებლობა საკუთარი, განსხვავებული გზებით ვითარდებოდნენ. ამ გარემოებების გამო ამერიკელი კათოლიკებისა და პროტესტანტების უმრავლესობა უბრალოდ არ იცნობდა მართლმადიდებლობას, რომელთა რიცხვმა აშშ-ში მე-20 საუკუნის მიწურულისათვის 3 მილიონს მიაღწია. შედეგად მართლმადიდებლობამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა ამერიკის წამყვან რელიგებს: კათოლიციზმს, პროტესტანტიზმსა და იუდაიზმს შორის.

განსაკუთრებით აღსანიშნავია აფროამერიკელების როლი ქვეყნის რელიგიურ-ქრისტიანულ სივრცეში. როგორც ცნობილია, 1619 წლიდან მოყოლებული მონებით მოვაჭრეები ძალადობისა და სისასტიკის უკიდურესი გამოვლინების მეშვეობით ათიათასობით აფრიკელს ყიდდნენ მონებად ჩრდილოეთ ამერიკაში. მონათმფლობელობის სამარცხვინო ეპოქას აშშ-ში 1863 წელს მოეღო ბოლო, მაგრამ რასიზმის საზარელი აჩრდილი (მართალია, მნიშვნელოვნად გაფერმკრთალებული) დღემდე ჩრდილავს ამერიკის მზეს. სწორედ აფროამერიკელებმა შექმნეს უნიკალური საეკლესიო გალობის სრულად განსხვავებული ფორმა „სპირიჩუელსი“, რომელშიც აისახა მათი გულწრფელი მისწრაფება თავისუფლებისადმი. განთავისუფლებული მონები ქმნიდნენ საკუთარ ეკლესიებს, რომლებიც თავის მხრივ ხელს უწყობდნენ ამერიკელი ზანგების გამორჩეული კულტურის ჩამოყალიბებას. აფროამერიკელები ძირითადად ეკუთვნიან ბაპტისტურ, მეთოდისტურ და სხვა ეკლესიებს.

მრავალრიცხოვან სექტებს შორის სუფთად ამერიკული მოვლენაა „უკანასკნელი დღის წმინდანთა“, ანუ მორმონების სექტა, ვინმე ჯოზეფ სმიტის მიმდევრები, რომელიც ამტკიცებდა რომ ის მოქმედებს უკანასკნელი ღვთაებრივი მითითების მიხედვით, რომელიც მან პირადად მიიღო უფლისაგან. მორმონები მე-19 საუკუნის შუა ხანებში ნიუ-იორკიდან აიყარნენ და თავისი „სასუფევლის“ ძებნაში გადაკვეთეს ოჰაიოს, ილინოისისა და მისურის შტატები და საბოლოოდ იუტას შტატში დაფუძნდნენ.

თავისი აგრესიულობითა და ქრისტიანობის ფუნდამენტური დოგმებისაგან რადიკალური განსხვავებით ასევე გამოირჩევა იეღოვას მოწმეების ამერიკული სექტა, რომელიც აშშ-ში მე-20 საუკუნის დასაწყისში შექმნა მზა ტანსაცმლით მოვაჭრე ვინმე რასელმა, რომელიც ასევე ამტკიცებდა, რომ ისაა ღვთის უკანასკნელი სიტყვის აღმსრულებელი. იეღოველები უარს ამბობენ სამხედრო სამსახურზე, სახელმწიფო დროშის ცნობაზე. მთელ რიგ სამედიცინო მკურნალობის ფორმებზე, რითაც სერიოზულ საფრთხეს უქმნიან მათ მიმდევართა ჯანმრთელობას და ა.შ.

ამერიკაში მრავლად არიან ადამიანები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მათი მთავარი სულიერი მოძღვარი აშშ-ის პრეზიდენტია, ხოლო მთავარი სიწმინდეები — სახელმწიფო დროშა და ეროვნული მნიშვნელობის ძეგლები. ამერიკაში ასევე ცხოვრობს მილიონობით ათეისტი, რომლებიც საკუთარ ქვეყანაში ისეთივე უფლებებით სარგებლობენ, როგორც ყველა მორწმუნე. მოკლედ, მორწმუნე ხართ თუ არა, ამას ამერიკის შეერთებული შტატების როგორც თანამედროვე მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნისათვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს.

ალბათ მკითხველს გაუჩნდება ლოგიკური კითხვა, რა ადგილი და როლი აქვთ მუსლიმანებს ამერიკაში. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში განვითარებული მოვლენების ფონზე მიმაჩნია, რომ ამ თემას ცალკე სტატია უნდა მიეძღვნას.

**სანდრო ნონეშვილი,**
*ისტორიკოსი.*

◎ შეცდომა

# სამართლიანობა იქ მაინც აღვადგინოთ, სადაც ეს ადვილია

**ახლახან, ერთი არცთუ დაბალრეიტინგიანი გაზეთის კითხვისას, მორიგ ჯერზე შემხვდა შესანიშნავი ქართული შვიდსერიანი ფილმი „დათა თუთაშხია“, უკვე კლასიკურად ქცეული ლიტერატურული წყაროს საკადრისი და ღირსი, რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძის ფილმად მოხსენიებული.**

**ამან საბჭოური ხანის თბილისის ინტელექტუალური ცხოვრებიდან ერთი ამბავი გამახსენა. მწერალთა კავშირში (რომელიც მაშინ დიახაც, კავშირობდა) ამ კინოსურათის გარჩევა მიდიოდა, რომელსაც რიგითი მონაწილის სახით ვესწრებოდი. ორატორები ერთმანეთს ცვლიდნენ და ყველა „ერთსულოვნად გაიძახოდა — გიგა ლორთქიფანიძის ფილმი, გიგა ლორთქიფანიძის ფილმიო; არადა, სერიალს ორი ავტორი, ორი რეჟისორი ჰყავს — გიზო გაბესკირია და გიგა ლორთქიფანიძე (ალფაბეტურ რიგზე). ორივე ესწრებოდა განხილვას, მაგრამ ერთ მომენტში გიზო-ბატონმა, „ლოგიკურად“ აღელვებულმა და გულნატკენმა, ველარ გაძლო და დარბაზი დატოვა.**

**როცა ერთმა ჩვენმა თვალსაჩინო პროზაიკოსმა და ქართული ლიტერატურის პროფესორმა წინგამოსულთა შეცდომა თუ უგულისყურობა გაიმეორა, მეც ველარ მოვითმინე და ადგილიდან თავდაჭერილად შევნიშნე ორატორს, თუმცა ეს ჩემზე უფრო (რიგით დამსწრეზე უფრო) სხვისი გასაკეთებელი იყო... გამომსვლელი (აქვე სათქმელად, ძველი ნაცნობი უნივერსიტეტის კედლებიდან) სრული გაგებით მოეკიდა ჩემს ჩარევას და იქვე გაასწორა ნათქვამი...**

**რაკი აღნიშნული გადაცდომა დღემდე გრძელდება პრესის ფურცლებზეც და ტელეეკრანზეც, სახელგანსმენილ რეჟისორს გიგა ლორთქიფანიძეს ვთხოვ (მალე გამოჯანმრთელების სურვებასთან ერთად), შემთხვევა რომ მიეცემა, მედიელებს ურჩიოს — დაარღვიონ „ტრადიცია“ და ფილმი „დათა თუთაშხია“ სწორი ავტორობით ახსენონ...**

**თამაზ ებანოიძე**

◎ დაფუძნდა

# დროის კარნახით

**ჯერ კიდევ 12 წლის წინათ მიიღო საქართველოს პარლამენტმა კანონი „პაციენტთა უფლებების შესახებ“, რომლის შესრულებაზე დღემდე არავის უფიქრია. სწორედ ამან უბიძგა ფილოლოგს, დეონტოლოგსა და ფსიქოლოგ მამუკა ცუხიშვილს, შეექმნა „საქართველოს პაციენტთა უფლებების დაცვის ასოციაცია“, რომლის მიზანიცაა დაზარალებული და უფლებაშელახული პაციენტების უფლებების დაცვა, ანუ საზოგადოების იმ წევრებისა, რომლებსაც უხარისხო სამედიცინო დახმარების ან ექიმის გულგრილობის თუ შეცდომის შედეგად ზიანი მიადგათ.**

ასოციაცია, როგორც მისმა ხელმძღვანელმა განაცხადა, გმობს პატიმართა მიმართ განხორციელებულ ამორალურ ქმედებებს, რაც ეროვნულ ტრაგედიად აღიქმება, და საერთოსახალხო პროტესტს უერთდება. „ადამიანთა უფლებების შემლახველ მთავრობას ქართველი ერი სამართლიანი არჩევნების გზით 1 ოქტომბერს გამოუტანს განაჩენს“, — განაცხადა მამუკა ცუხიშვილმა.

**ნიკა ლეჟავა**

◎ უახლესი ისტორია

# XX საუკუნის „ფარაონი“

**მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ვლადიმერ ლენინის ცხედრის მიწისთვის მიბარებასთან დაკავშირებით ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით გაირკვა, რომ რუსეთელთა უმრავლესობა მისი დაკრძალვის მომხრეა. ამის შემდეგ რუსეთის პატრიარქის პრესსამსახურის უფროსმა ლენინის ცხედრის კომუნისტებისთვის გადაცემის აზრი გამოთქვა, ისტორიკოსი ვლადიმერ ავდეევი კი დარწმუნებულია, რომ ბელადის ცხედარი... დასაწვავია, რადგან მასზე ნამდვილად სატანისტური რიტუალი იყო ჩატარებული.**





## ყველაფერი დასაწვავია!

— მავზოლეუმი და მასში „შენახული“ ლენინის მუმია — ესაა წმინდა წყლის სატანიზმი, ამიტომაც შენობა ერთიანად „ამოსაძირკვია“, მუმია კი — დასაწვავი, რადგან სატანიზმისგან განწმენდა მხოლოდ ცეცხლით ხდება, — ამბობს ვლადიმერ ავდეევი. — ამასთან, კრემლის კედელში ჩამარხული ნეშთებიცაა გასატანი, თავად კრემლი კი ისტორიულ-კულტურულ ძეგლადაა გადასაკეთებელი. **ამჟამად კი ეს საკულტო ადგილი უარყოფით ენერგეტიკას გამოასხივებს, ლენინის მუმია კი რუს ხალხს სულაც „ავამპირებს“:** იგი ხომ ძველი ეგვიპტის ფარაონთა დაკრძალვის პრინციპით დამარხეს — შიდა ორგანოები, მათ შორის თავის ტვინი, ამოაცალეს, სხეული კი დააბალზამეს და აკლდამაში მოათავსეს.

ისტორიკოსის თქმით, უაღრესად საგულისხმოა ისტორიული ფაქტი, რომ იოსებ სტალინი, რომელსაც სასულიერო სემინარია ჰქონდა დამთავრებული, მავზოლეუმზე მხოლოდ აღლუმების დროს ადიოდა, შიგნით კი არც ერთხელ არ ყოფილა, რადგან მშვენივრად იცოდა თუ რაშია საქმე!

ლენინი რომ მოკვდა, ბოლშევიკები ერთ ხანს დაბნეულები იყვნენ და არ იცოდნენ, გარდაცვლილი ბელადისთვის რა ექნათ. მებალზამეები იმთავითვე ამბობდნენ, რომ ცხედარი საკმაოდ გაიხრწნა, გაჩნდა პიგმენტაცია, რის გამო მისი „გაახალგაზრდავების“ ოპერაცია ჩაატარეს. ამის შედეგად ოთხი თვის შემდეგ ლენინი „ახალივით“ იყო და ერთ-ერთმა პირველმა, ვინც ის ნახა, მისმა ძმამ, დიმიტრი ულიანოვმა, მღელვარება ვერ დაფარა: „იგი ისეთივეა, როგორიც გარდაცვალებისთანავე იყო!..“ დიმიტრი ულიანოვმა სიცოცხლე საგიჟეთში დაასრულა...

## სატანის ნიშანი

თავად მავზოლეუმი კი არქიტექტორ შჩუსევის პროექტით ააშენეს. ზოგიერთი მკვლევარის აზრით **მავზოლეუმი ძალიან ჰგავს ზიკურატებს — ძველი ბაბილონის ქურუმების ოკულტურ ნაგებობებს. ზიკურატის შიგნით იყო სათავსო მუმიით, რომლის მეშვეობით, მკვლევართა შორის გავრცელებული აზრით, ქურუმები ხალხის გონებას მართავდნენ.**

— ბოლშევიკური სიმბოლოების ფესვებიც ოკულტიზმში ძევს, — განაგრძობს ბატონი ავდეევი. **— არც რუსი, არც ყოფილი საბჭოთა კავშირის არც ერთი ერის სიმბოლიკაში ვარსკვლავი არ არის: ქრისტიანებს ყოველთვის ჯვარი გვქონდა, მუსლიმანებს — ნახევარმთვარე.**

ხუთქიმიანი ვარსკვლავის სიმბოლო 1918 წელს, ამხანაგ ტროცკის „მოწოდებით“ გაჩნდა: **ცნობილი ბუდიონოვკის პირველ ვარიანტებზე გადმოყირავებული ლურჯი ვარსკვლავი ჰქონდა დაკერებული — ესაა ბაფომეტის (სატანის) ნიშანი! ანუ ყველა ბოლშევიკს შუბლზე სატანის სიმბოლო ჰქონდა!**

სამკერდე ნიშნებზე, დროშებზე, ყველა საზოგადოებრივ ადგილას გამოკრული გარდაცვლილი ბელადის თავი კი მკვდარი თავის უძველესი კულტის კალკია. მანტერებივით წარმოთქმული — „ლენინი ყველა ცოცხალზე ცოცხალია“(?!), „ლენინი ცოცხლობდა, ლენინი ცოცხლობს, ლენინი იცოცხლებს“(??!) — ესაა ოკულტური რიტუალის კიდევ ერთი მდგენელი, რომლის დანიშნულება ხალხისთვის ლენინის უკვდავების იდეის ჩანერგვა იყო.

**თამარ გოგიაშვილი**

## დაიჯესტი

### კომპიუტერულ ტომოგრაფიაზე უფრო ზუსტი

**როდის, სად და როგორ შეძლო ადამიანმა ძაღლის მოთვინიერება? ამ კითხვებზე დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ეს დაახლოებით 12-14 ათასი წლის წინათ მოხდა.**

სადღეისოდ კინოლოგების მიერ ძაღლების დაახლოებით 400 ჯიშია რეგისტრირებული, მაგრამ ყველანი ერთსა და იმავე სახეობას განეკუთვნება. თეორიულად, 5 სანტიმეტრი სიმაღლისა და 900 გრამი წონის ჩიხუახუას ერთი მეტრის სიმაღლისა და 70 კილოგრამის სენბერნარის შეჯვარება თავისუფლად შეიძლება. თუმცა ეს, ცხადია, ხელოვნური განაყოფიერებით უნდა გაკეთდეს, მაგრამ, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, კინოლოგებს საკმაოდ მდიდრული ფანტაზია აქვთ...



სამაგიეროდ, კატებისგან განსხვავებით, ძაღლები დიდად სარგებლიანნი არიან. ძაღლის ცხვირში ყნოსვის 220 მილიონი უჯრედია, რაც ადამიანის ყნოსვის უჯრედთა რიცხვს 44-ჯერ აღემატება! ძაღლის ცხვირი ყველაზე სრულყოფილ ხელსაწყოებზე ოთხჯერ უფრო მგრძნობიარეა, რომლებიც ადამიანმა სუნის აღმოსაჩენად გამოიგონა. კალიფორნიელმა ექიმებმა დაადგინეს, რომ ლაბრადორების და პორტუგალიური წყლის ძაღლების გამძაფრებული ყნოსვა ფილტვისა და სარძევე ჯირკვლის კიბოთი დაავადებულ ადამიანთა დიაგნოსტირების საშუალებას იძლევა ყველაზე ადრეულ სტადიაზე. თანაც ალბათობა, გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ისეთი თანამედროვე მეთოდებისა, როგორებიცაა მამოგრამა და კომპიუტერული ტომოგრაფია.

### დაკარგვა არ ეწერა



**ბირმინჰემელ კომერსანტ ჩარლზ რილის, საზღვაო მოგზაურობისას, ესპანეთის კუნძულ მალიორკას მახლობლად სათვალე ბუდიანად ზღვაში ჩაუვარდა.** ორი თვის შემდეგ დაკარგული სათვალე... ამერიკელმა მყვინთავმა იპოვა და ერთ ინგლისელ ტურისტს გადასცა. იმან კი, თავის მხრივ, სათვალეზე მითითებული ნიშნით, მისტერ ჩარლზ რილი მონახა. ბოლოს ზღვაში დაკარგული სათვალე ისევ პატრონს დაუბრუნდა, რომელსაც მისი პოვნის იმედი, ცხადია, აღარ ჰქონდა.

### ურანია, ხელოვნებათა მფარველი, მუზების ღვიძლი და

**ყველა ხელოვნება ერთმანეთს რომ ენათესავება, ამას ადამიანები ოდიდგანვე ხვდებოდნენ. ძველი საბერძნეთის მითები ცხრა მუზის, ხელოვნებათა მფარველების თაობაზე მოგვითხრობენ. მათ შორის ევტერპა — ლირიკული პოეზიის მუზაა, ერატო — სასიყვარულო სიმღერების, პოლიჰამნია — წმინდა ჰიმნების. ასევე მუსიკასთან ახლოს იყვნენ კალიოპა — ეპიკური პოეზიის მუზა, ტალია — თეატრის მუზა, მელპომენა — კომედიისა და ტრაგედიის მუზა და ტერპსიხორა — ცეკვის მუზა. მათი დები იყვნენ, აგრეთვე, „წმინდა მეცნიერებათა განმგებლები" კლიო — ისტორიის მუზა და ურანია — ასტრონომიის მფარველი.**

თვალის ერთი გადავლებით, კლიოს მუსიკასთან შეხება თითქოს არა აქვს, რადგან ისტორია მეცნიერებაა და არა ხელოვნება. მაგრამ, ამავე დროს, ისტორია — ესაა კატაკლიზმების მრავალი თაობის გამოცდილების მეხსიერება, რომლის წიაღში სახალხო მუსიკაცაა ჩამალული.

ამასთან, ისმება კითხვა: რატომ არის, რომ ხელოვნების მუზებს შორის ძველმა ბერძნებმა ურანია, ასტრონომიის მუზაც მოათავსეს? საქმე ისაა, რომ ყოველ ხელოვნებას თანწყობისადმი, ჰარმონიისადმი სწრაფვა ახასიათებს, მაგალითად, ისეთებისადმი, როგორსაც არქიტექტურასა და ქანდაკებაში, მხატვრულ ტილოებში ფერთა განთავსებაში, პოეზიაში — რითმების მონაცვლეობასა და სტრიქონების ზომაში, მუსიკაში კი ბგერათა მელოდიურ მონაცვლეობაში ვხვდებით. თანაც ყველა ხელოვნების ეს თვისებები შემოქმედთა მიერ მოგონილი კი არ არის, ისინი დიდსა თუ მცირეში თავად ბუნების გონიერობასა და ჰარმონიულობას გამოხატავენ. ამ ჰარმონიას აკვირდებოდნენ და მისით აღფრთოვანებულნი იყვნენ ანტიკური ხანის ბერძნები, რომლებიც საყოველთაო კავშირთა დადგენას ცდილობდნენ. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი და მათემატიკოსი პითაგორა ჩ.წ.ა VI საუკუნეში მიიჩნევდა, რომ მუსიკალურ ბგერათა აკუსტიკური შეფარდებები ციურ ცთომილთა შორის მანძილების ანალოგიურია და რომ პლანეტების მოძრაობა მუსიკალურ ბგერებს, „ზეციურ სფეროთა ჰარმონიას", „სამყაროს რიტმს" უნდა წარმოშობდეს. სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ ძველმა ბერძნებმა ურანია ხელოვნების მფარველ მუზებს შორის მოათავსეს.



### ესეც საპნის ბუშტი!



**სარეცხ საშუალებათა ერთ-ერთი შვეიცარიული ფირმის დირექტორმა ჰანს-რუდოლფ ზეტერმა, სარეკლამო მიზნით, ერთობ უჩვეულო შეჯიბრში მონაწილეობის მიღება გადაწყვიტა.** ამოცანა მარტივი იყო — მონაწილეებს მაქსიმალურად დიდი საპნის ბუშტი უნდა გაებერათ. ახლა ძნელი დასადგენია, ბატონ ზეტერის ფაბრიკის პროდუქცია იყო ასეთი მაღალი ხარისხისა თუ მას უბრალოდ ბედმა გაუღიმა, მაგრამ ფაქტია, რომ მან გაიმარჯვა, რადგან შეძლო... ხუთი მეტრის დიამეტრის საპნის ბუშტის გაბერვა. ამით მან წინა რეკორდი ორი მეტრით (!ქ „გააუმჯობესა"!

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, საავადმყოფო ფურცლის (ბიულეტენის) წარდგენიდან, რამდენ დღეში უნდა მომეცეს კუთვნილი თანხები და საიდან?**

**ნოდარ ჩირგაძე**

**პასუხი:** დამსაქმებელი (დაწესებულება) ვალდებულია საავადმყოფო ფურცლის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში ან აანაზღაუროს დროებითი შრომისუუნარობის ფურცელი, ან წერილობით შეატყობინოს დასაქმებულს, რა მიზეზით ეთქვა უარი დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების გაცემაზე.

* * *

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, განისაზღვრება თუ არა წერილობითი ხელშეკრულებით დასაქმებულის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სახე?**

**ნონა ამირბეგოვი**

**პასუხი:** საქართველოს შრომის კოდექსის 45-ე მუხლის შესაბამისად, წერილობითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს როგორც დასაქმებულის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სახე, ისე მისი ფარგლები, თუ ეს გამომდინარეობს სამუშაოს სპეციფიკიდან.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 299-62-77.**

**იყიდება ბინა სასწრაფოდ!**

**ქალაქის ცენტრში, ოპერის უკან, თაბუკაშვილის 32-ში სასწრაფოდ და ძალიან იაფად იყიდება 4-ოთახიანი, 100 კვ.მ. მაღალჭერიანი ბინა, დაშენების პერსპექტივით. საწყისი ფასი 70 ათასი დოლარი. დარეკეთ საღამოს — 247-57-79.**

**რეკლამა 299-62-77; 599 32-85-76.**

## ანეკდოტები

**გასაოცარი ორგანოა ადამიანის ტვინი: იგი მუშაობს დღე-ღამეში 24 საათის განმავლობაში, წელიწადში 365 (366) დღის განმავლობაში, შენი დაბადების პირველივე წუთიდან და თვით იმ მომენტამდე, სანამ ქალი შეგიყვარდება.**

* * *

**სოფელში ფიჭური კავშირგაბმულობის ანძა დადგეს.**

**ერთი თვის შემდეგ მოსახლეობამ დაიწყო ჩივილი, თავი აგვტკივდაო, განწყობა გაგვიუარესდაო, უძილობა დაგვჩემდაო და ა. შ.**



**დირექტორის პასუხი უბრალო იყო:**

**— ეს ველაფერი სისულელეა! თქვენ წარმოიდგინეთ, რა იქნება მაშინ, როცა ამ ანძას ჩავრთავთ...**

* * *

**ცოლ-ქმარი ვახშმობს.**

**— თითო ჭიქა ხომ არ გაგვეშვა? — ეკითხება ქმარი.**

**— შენ შეგიძლია გაუშვა, მე კი დავლევ!**

* * *

**ძვირფასო რედაქცია! თუ შეიძლება, შეცვალეთ ახალი ამბების პროგრამის წამყვანი დიდმკერდიანი დიქტორი ქალი პატარამკერდიანით, თორემ ყველა სიახლეს ვერ ვგებულობთ.**

* * *

**თუ გსურთ გაიგოთ ადამიანის ჭეშმარიტი ხასიათი, დააკვირდით, როგორ ელაპარაკება იგი ადამიანებს, რომელთაც მისთვის არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ.**

## კადრი



**ავტორთა საყურადღებოდ!**

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24